№ 3014
სამშაბათი,
28 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 3014
სამშაბათი,
28 თებერვალი

ფასი ღირს: წლიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის და ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამა. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მოკლე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს, ხოლო გრძელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს

„ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ.	საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი. „ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

ილია, ლუცია, მარიამ და თამარ ქუთათელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 27 თებერვალს გარდაიცვალა მეუღლე პირველისა და დედა უკანასკნელთა

ეკატერინე ალექსის ასული ქუთათელაძისა.

მიცვალებულის დასაფლავება იქნება ხონში 2 მარტს. (2—1)

24-ს თებერვალს გარდაიცვალა ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ

კნეინა ქეთევან შალვას ასული ერისთავისა.

რასაც აუწყებენ შვილნი მისნი თ. ივანე, ზაქარია ელიზბარის ძენი და კნეინა ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი, მარიამ ზლატინსკისა და კნ. ნინა ქობულოვისა. პანაშვიდები იქმნება 1-ს საათზედ დილით და 7 ს. საღამოს. გამოსვენება გვ მისა 28 ს თებერვალს 10 საათ. დილით საკუთარი სახლიდან (საპერნი პერეულოკი № 3) ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა ქ. გორს 1 მარტს. (2—2)

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის

თანამდებობის აღმასრულებელი აცნობებს გუბერნიის თავადთ და აზნაურთ, რომ თავად-აზნაურობის ჩვეულებრივი კრება დაიწყება ამა წლის 15 მაისს. (ნ. 3—2)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.

ე. ნ. მზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ნ. ა. ტატემოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ი. ასეტისოვი. 12—1 ს. კალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

** პ. ა. ბეიერი.** 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—46)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,

ჟ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.

კ. ი. მძელიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.

ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.

ნ. ი. ბურგენოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. მ. პუზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.

ნ. გ. აზიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ზ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памятника Воронцова. (წლ.)

საღურგლო

ვიღებ ყოველ გვარს შეკვეთილებას, როგორც შენობის კარ-ფანჯარის გაკეთებისას, ისე ოთახის მისაწყობ ავეჯეულისას, აგრეთვე ძველის ავეჯის შეკეთებას. იქვე, სახელოსნოში, დამზადებულია სხვა და სხვა შკაფები, კაკლისა და საწერი სტოლი თავის სავარძლით, მიხეილის ქუჩა, ს.ხ. № 132, ვეტერინარის სასტუმროს პირდაპირ. სახელოსნო მ ჩოდრიშვილისა. (ნ. 4—3)

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელისა. (15—კვ.—12)

ექიმი
გ. ა. გედევანი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვერენიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (300—ნ.—41)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე ბურგენოვი,
რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მღივნიზა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—12)

ექიმი
გ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12 სახლი სვანიშვილისა.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 14) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—12 მდის.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყოლდანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

კბილის ექიმმა
ი. ზ. კანდელაკმა
განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი 32. ძველ ბინის გვერდზე.

დასავლეთ-საქართველოში

—

დ. ხონი. რეაქციის გაბატონების შემდეგ, როგორც ყველგან, ჩვენც გვესტუმრა ჯარი (80 ყაზახი) აფიცრის იაშვილის წინამძღოლობით. სანამ ჯარი ჩამოვიდოდა, ადგილობრივი მცხოვრებნი და ვაჭრები ისე დაშინებულნი იყვნენ გაგონილ ამბებით, რომ რაც ებადათ, მიმალ-მოიმალეს; ზოგი მიწაში დამარხეს და ზოგი სხვაგან. სახლები დაცარიელდა, მცხოვრებნი გაიხიზნენ; დუქნები დაცალიერდა და ბევრმა დაკეტა კიდეც. ჯარი მოულოდნელად შემოვიდა და დაბინავდა კერძო ქალთა პროგიმნაზიის შენობაში. დაიწყეს, რასაკვირველია, მეორე დღესვე თავისებურად ჩხრეკა-ძიება. ზოგმა რა დაჰკარგა, ზოგმა რა. გაიმართა კრება აფიცრის ბძანებით. ხალხს გამოუცხადეს მოთხოვნილებანი. ხალხმა აღუთქვა და კიდეც ჩაბარა 8 თუ 9 ბერდანა და აგრეთვე აღუთქვა ზოგიერთ სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. იმავე კვირაში გაჩხრიკეს ბ-ხტაძეები, მაგრამ ვერც თვითონ ისინი ნახეს და ვერც ვერაფერი უპოვნეს.

ჯარის გაჩენისათანავე თავი იჩინეს ჯაშუშებმა. სამწუხარო და სავალალო უფრო ის არის, რომ ამ ხელობას ეწევიან ზოგიერთი ისეთნიც, რომელნიც წინად პარტიების ერთგულ წევრებად ითვლებოდნენ (17 ოქტომბრის შემდეგ შეძენილი წევრები არიან). გაჩხრიკეს სოფელი კუხი და რადგან ერთ მოსახლეს, გორდელაძეს რევოლვერი უნახეს, დასწვეს იმისი სახლი და აგრეთვე იმის ძმის სახლიც. სხვაგან ამ სოფელში ვერაფერი იარაღი ვერ ნახეს, ნივთები მაინც აურეველი დაიკარგა. ორ თებერვალს, შუადღისას, ბაზარში ორის ტყვიით მოჰკლეს ტ. ქუთათელაძე, რომელსაც ჯაშუშობას აბრალებენ. მკვლელი ეტლში ჩამჯდარა და გაქცეულა. დაიჭირეს მეეტლე, რომელიც, როგორც ამბობენ, გატყდა და დაასახელა მკვლელის ვინაობა და აგრეთვე ის, თუ სად გადამალა. ეს მეეტლე ქუთაისის სატუსაღოში გაგზავნეს. მხოლოდ ვითომდა მკვლელის დასაჭერად წავიდნენ სოფ. გუბში, მივიდნენ ერთ დუქანში და მოსთხოვეს მედუქნეს მკვლელი, მაგრამ რადგან მან უარი განაცხადა, დუქანი დასწვეს, თვითონ კი ძალზე სცემეს. შემდეგ დასწვეს ვითომდა მკვლელის სახლი, საიდანაც ცეცხლი მეორე სახლზე გადავიდა და დაბრუნდნენ ხონში. გაჩხრიკეს შემდეგ კონტუათში ი. ხვიჩიას სახლი, ხოლო ქვიტირში ს. რუხაძე, მაგრამ ვერაფერი ნახეს და ვერც თვითონ ისინი დაიჭირეს. აფიცერმა გამოაცხადა, რომ ტ. ქუთათელაძის ოჯახის სასარგებლოდ უნდა გადიხადოთ 2000 მანეთიო, რაც დაუყოვნებლივ გააწერეს და აკრიფეს კიდეც. აგრეთვე გააწერეს და აკრიფეს წინად ფოსტიდან წაღებული 4500 მან.

17 თებერვალს ჯვესტუმრა ვიცე-გუბერნატორი თ. დადეშქელიანი, რომელმაც გამართა საერთო კრება და დიდხანს ელაპარაკა ხალხს. უთხრა აგრეთვე, რომ ალიხანოვ-ავარსკი ჩამოვა აქ და კარგად დაჰხვდითო. შემდეგ იგი ყაზახებით გაემგზავრა სამტრედიაში, სადაც პრინცესა მიურატსას დაჰხვდა. მეორე დილას ორივენი ჩამოვიდნენ ხონში. აქედან 22 თებერვალს გაემგზავრნენ სალხინოში.

ეხლა ორიოდე სიტყვა ფულის გამწერლების და ამკრეფლების შესახებ. როგორც ზევით ვთქვით, ხალხს გააწერეს და აკრიფეს კიდეც 6500 მ. ხონი და ის სოფლები, რომელზედაც გააწერეს, დაჰყვეს „უბანტკებათ," გამოიკვლიეს რამდენი იყო მცხოვრები, რამდენს შეეძლო გადახდა, რამდენს არა და ამისდა მიხედვით გააწერეს. დაბეჭდეს იმდენი კვიტანცია, რამდენიც გადამხდელი იყო. ამ საქმეშიაც ჩაერივნენ ბოროტი სულები. იმ ოჯახებს, რომელნიც სიღარიბის გამო გაანთავისუფლეს, ფული მაინც გადაახდევინეს, ზოგს ორი მანეთი, ზოგს მეტი და ზოგს ნაკლები. ხოლო რადგან მათთვის დანომრილი კვიტანციები არა ჰქონდათ, მისცეს უბრალო ბარათები. იქნება ეს ვაჟბატონები მომავალზე აღარ ფიქრობენ? მართალია, ხალხი ემორჩილება და ხმას არ იღებს, მაგრამ დადგება დრო, როდესაც პასუხს მოსთხოვს. ეს დრო კი შორს არ არის. თუ რამდენია ზედმეტი მოკრეფილი, ვეცდებით გავიგოთ და გაცნობოთ.

უმეცდო

—

სოფ. აბაშა (სენაკის მაზრა). მკითხველებისათვის ახალი ამბავი არ არის, რა განსაცდელებში ჩავარდა ჩვენი კუთხე დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად. აქამდის მიმალულნი ცხოვრების ნაძირალნი, იუდანი და ჯაშუშები, აქეთაც წამოიშალნენ და აღარაფერს არა ზოგავენ, რომ სრულიად უდანაშაულო ხალხი ჯარსა და ყაზახებს მისცენ ხელში. ჩვენ გაძარცულსა და დაწიოკებულ დაბას ახალმოდის მხსნელნიც აღმოუჩნდნენ. დიდიან ხალხში და ქადაგობენ, „პროპაგანდისტები" და „აგიტატორები" გავცეო, რადგან უმთავრესი მოთხოვნილება ჯარისა ეს არისო. „ხალხის კეთილის მყოფელთა" მოღვაწეობამ ნაყოფი გამოიღო და 14 თებერვალს კიდეც შეიკრიბნენ აბაშის საზოგადოების მცხოვრებნი. ყრილობაზე გამოცხადნენ 8 სოფლის საზოგადოების მცხოვრებნი, რომელთაც ჯარის უფროსმა მოსთხოვა, მოგვეცით აგიტატორებიო. ხალხმა დაიწყო თათბირი. თათბირში მონაწილეობა მიიღო მღ. თ. შომახიამ, რომელიც თარჯიმანის როლსაც ასრულებდა აფიცერსა და ხალხს შორის. კარგა ხანს თათბირის შემდეგ ყრილობის სახელით წარსდგა წინ ერთი გლეხი და განაცხადა, ყრილობა მზად არის შეასრულოს აფიცრის წინადადება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს საიდუმლოდაო. ეს ფარული კენჭის ყრის უფლება ხალხის ერთმა ნაწილმა სხვანაირად გამოიყენა. მიდიოდნენ ცალ-ცალკე აფიცერთან და ეჩურჩულებოდნენ, ვინ იყვნენ, მათის აზრით, ხალხის გზის დამბნევნი და აღმაშფოთებელნი. გასცეს სამი კაცი. ყრილობის დამთავრების შემდეგ ჯარი გაემგზავრა ადგილობრივ მცხოვრებ მოხუც პავლე იოსელიანთან და მოსთხოვა, გაეცა შვილი, ვითომდა აგიტატორი. პავლე იოსელიანმა აფიცერს აუხსნა, შეცდომაში შეუყვანიხართ, ტყუილი უკანონებიათ, მე აგიტატორი შვილი არა მყავსო. აფიცერი ამით დაკმაყოფილდა. 15 თებერვალს, დაპატიმრებულ იქმნენ ადგილობრივი მცხოვრებნი მ. კვირნაძე, მ. ნადარეიშვილი და ევგენი თოფურიძე. ამ დღეებში ფოთისაკენ მიმავალი მატარებელი გაჩხრიკეს და დააპატიმრეს ა. ს. გამსახურიდა.

ის ახალგაზდობა, რომელიც 1905 წელს იყო გაწვეული სამხედრო ბევრის მოსახდელად, უკვე გამოცხადდა სამხედრო საკრებულოში. ყმაწვილი კაცნი ზღვით გაგზავნეს პირდაპირ რუსეთში.

ადგილობრივ დაბალ სკოლებში სწავლა დღემდე არ განახლებულა.

„ბირჟ. ვედომ."-ი ჩვენ შესახებ.

—

რუსულ გაზეთებში, პეტერბურგსა და მოსკოვს, ბევრი რამ უცნაური იბეჭდება ჩვენის ქვეყნის შესახებ, უფრო იმიტომ, რომ არ გვიცნობენ, გაგება არა აქვთ ადგილობრივ საქმეებზე. ხშირად, ისეთ კორესპონდენტებს გაიჩენენ ხოლმე, რომელთ სიმართლე იმდენად არ ასულდგმულებთ, რამდენად რაიმე წინად განზრახვა, რაიმე ტენდენცია. ამის წყალობით, მათი კორესპონდენციები ხშირად ცარიელ ჭორებისა ან განზრახ დამახინჯებულ ამბებიდან შესდგება.

ასეთი კორესპონდენტი მოუწვევია, მაგალითად, „ბირჟ. ვედომ.-ს. ეს ვაჟბატონი ან სრულიად უმეცარი უნდა იყოს ან და მიზნად გაუხდია როგორც პეტერბურგის გაზეთის, ისე რუსის საზოგადოების და მთავრობის მოტყუება, შეცდომაში შეყვანა. თითქმის ყოველ დღე იბეჭდება მისი დეპეშები ტფილისიდან „ბირჟ. ვედომ."-ში და ძვირად წაგვიკითხავს იმგვარი ჭორები, როგორიც ის ასაღებს. ბოლოს დროს მან დაუხშირა დასავლეთ საქართველოზე ამბების გაგზავნა და ვერ წარმოიდგენთ, რამდენს უმხგავსობას სჩადის.

„ბირჟ. ვედომ."-ის მკითხველი დარწმუნებულია, ალბათ, რომ დასავლეთ საქართველოს ომი გამოუცხადებია რუსეთისათვის. კორესპონდენტი ყოველ დღე ატყობინებს გაზეთს შეტაკებათა და ბრძოლების შესახებ. „ჯარები ძლივს მიდიან წინ; ყოველ ნაბიჯზე ბრძოლა აქვთ აჯანყებულებთან; საჭიროა მაშველი ჯარებიო; ქალაქები და სოფლები გადასწვეს რევოლიუციონერებმაო" და სხვა ამ გვარ სიცრუეებით არის სავსე მისი დეპეშები. ჩვენმა რედაქციამ გადასწყვიტა „ბირჟ. ვედომ."-ის ყურადღება მიექცევინებინა ასეთ შემაძრწუნებელ ჭორებისათვის. ჩვენ დეპეშა გავუგზავნეთ „ბირჟ. ვედომ."-სა და „ნაშა ჟიზნს", რომლითაც ვაუწყეთ, რომ „ბირჟ. ვედომ."-ის კორესპონდენტი ტყუილებს სწერს, რომ სოფლებსა და ქალაქებს რევოლიუციონერები-კი არა, „დამსჯელი რაზმები" სწვავენ, რომ არავითარი ბრძოლა-შეტაკებები არაა, პირიქით, ჯარები სასტიკად იქცევიან და სხვა. ჩვენი პროტესტი გაზეთებმა დაბეჭდეს; მაგრამ „ბირჟ. ვედომ."-ი თავის კორესპონდენტს შეჰკითხვია და ისიც პასუხს გვიწერს. ეს პასუხიც ისეთია, როგორც დეპეშები: ყალბი თავიდან ბოლომდე.

„ცნ. ფ."-ის გარდა აქ სხვა გაზეთებიც გამოდისო, ამბობს „კორესპონდენტი", და ეს გაზეთებიც იმგვარსავე ცნობებს ჰბეჭდავენ დასავლეთ საქართველოზე, როგორსაც მე ვაგზავნიო. ეს ნამდვილი ცილისწამებაა ადგილობრივ გაზეთებზე. არც რუსული, არც სომხური გაზეთები არ სწერენ, ვითომ დასავლ. საქ—ში ომი იყოს და ვითომ რევოლიუციონერები სწვავენ დაბა-სოფლებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსულმა გაზეთებმა უნდა უარჰყონ „კორესპონდენტის" დაწამება; რაკი იმათ იმოწმებენ, რაკი იმათის საშუალებით უნდათ სიცრუე გაასაღონ, ადგილობრივი გაზეთები ვალდებულნი არიან, ჩვენის აზრით, პროტესტი გამოუცხადონ ცრუ კორესპონდენტს.

შემდეგ „კორესპონდენტი" ჩვენც გვიმოწმებს: თვით „ცნ. ფ."-ში იბეჭდება ისეთი ამბები, რომელნიც ჩემს სიმართლეს ამტკიცებენო. ოინბაზობა ამაზე შორს ვეღარ წავა! მაგალითად მოჰყავს შემდეგი: თვით „ცნ. ფ."-მა გვაუწყა, რომ 13 იანვარს ზარბაზნებით გაანადგურეს მემამულის თავ. დიმ. ციციშვილის სახლ-კარიო. „კორესპონდენტი" განზრახ იკატუნებს თავს, ვითომ ვერ გაუგია—ვინ გაანადგურა თავ. ციციშვილის სახლი ზარბაზნებით და რევოლიუციონერებს აბრალებს ამას. შემდეგ მოჰყავს კიდევ რამდენიმე ცნობა ჩვენის გაზეთიდან სხვა და სხვა თავდასხმის შესახებ (წერეთლის ბრპოსი და სხვ.) და გაიძახის,—აი თვით „ცნ. ფ."-ი რას სწერსო. თითქო საერთო რამ იყოს ამ თავდასხმათა და იმგვარ ბრძოლათა შორის, რომლებზედაც „კორესპონდენტი" სწერს „ბირჟ. ვედომ."-ს. იმგვარი თავდასხმა, ძარცვაგლეჯა და თარეში ეხლა მთელს რუსეთშია და მაშ მთელს რუსეთში ყოფილა ჯარებსა და ხალხს შორის განუწყვეტელი ომი?!..

ბოლოს „კორესპონდენტი" ამტკიცებს, „ონი, ოზურგეთი, აბაშა, ჩოხატაური და ნაგომარი მაშინ გადიწვა, როცა იქ ჯარები არც-კი მისულიყოო"-ო. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხალხი თვითონ სწვავს თავის ავლა-დიდებას, თავის სახლ-კარს? ამგვარ უსინიდისო და უსირცხვო ბრალდებას დარღვევა არა სჭირია. ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, რომ, ვინც ამგვარ ჭორებს სთხზავს, ის ჩვენი მტერია და განზრახ იგონებს ყოველგვარ სიცრუეს, რათა გააწვავოს ჩვენში რეაქცია. ალბათ, მისი განზრახვაა, მთავრობა შეაშინოს ჩვენში „სარევოლიუციო ბრძოლის" საშინელებათა აღწერით და ამრიგად რეპრესიები გააძლიერებინოს.

ახალი ამბავი

◆ **გენერალ ალიხანოვის გადაყენება.** როგორც ქალაქში ხმა დადის, გენერალი ალიხანოვი გადააყენეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობიდან. გენ. ალიხანოვი გუშინ-წინ უკვე ჩამოსულა ტფილისში.

◆ **დათხოვნილთა რაოდენობა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან გაფიცვების გამო დღემდე დათხოვნილია სულ 1640 კაცი. საქმე მით არ თავდება. კვირა არ გავა, ახალ-ახალი არ დაითხოვონ, ასე რომ შეიძლება დათხოვნილთა რაოდენობა ორი ათასამდე ავიდეს!..

◆ **პოლიციელის მოკვლისთვის.** უკვე ვწერდით, რომ 24 თებერვალს ავჭალის ქუჩაზე ვიღაცამ მოკლა პოლიციელი კლემენტიევი. გენერალ-გუბერნატორმა განკარგულებით, პოლიციელისათვის ავჭალის ქუჩაზე ცხრა დუქანი დაიკეტა, თქვენ გეცოდინებათ მკვლელი. სამართალი ასეთი უნდა!

◆ **გაუთავისუფლებელი გლეხები.** როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, ბატონ-ყმობის გადავარდნის დღეს, 1864 წელს, ტფილისის გუბერნიაში ყოფილა სულ 14,230 კომლი ბატონყმური გლეხი. ამ დროს მათთვის ნადელად მიუციათ სახნავ-სათესი—48,257 დესეტინა, ხოლო სათიბ-საბალახოდ—4742 დესეტინა. 1864 წლიდან დღემდე ბევრმა გლეხმა გაინთავისუფლა თავი თავისი მემამულისაგან და დღეის წინადაც ტფილისის გუბერნიაში—7000 კომლი, ესე იგი ნახევარი, მაინც

დარჩენილი დროებით ვალდებული და ხიზანი გლეხი.

◆ **ყაჩაღები.** რეაქციასთან ერთად ხელახლა გაჩნდა ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა-ავაზაკობა. ქვემოდ ვბეჭდავთ კორესპონდენციას კახეთიდან, სადაც აწერილია დილიჟანების გაძარცვის ამბავი. საუბედუროდ, ამ საქმეს უსისხლოდ არ ჩაუვლია: ყაჩაღებს სამი მგზავრი მოუკლავთ; მომკვდარა აგრეთვე ერთი სტრაჟნიკი. შეიძლება ეხლა ჩვენმა ბიუროკრატიამ ყაზახები ან სტრაჟნიკები გაგზავნოს, მაგრამ ვაი თუ ამათი სუსხი მცხოვრებთ უფრო იგემონ, ვიდრე ყაჩაღებმა!..

◆ **სამოსწავლო ოლქის ახალი უფროსი.** მართლდება ჩვენ პეტერბურგელ კორესპონდენტის მიერ გადმოცემული ამბავი კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის შესახებ. ეხლანდელი უფროსი ოლქისა ზავადსკი თანამდებობას თავს ანებებს. იმის მაგიერ ინიშნება დირექტორი ვარშავის ჰელლერ სასწავლებლისა თავ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი.

◆ **ბერების დეპუტაცია.** ტფილისში ჩამოვიდა ახალ ათონის მონასტრის ბერების დეპუტაცია. გუშინ, 27 თებერვალს, დეპუტაცია ნამესტნიკთან და მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულთან იყო. ბერების დეპუტაციამ სთხოვა ნამესტნიკს, მონასტერს დაუთმოს ახლო მახლო თავისუფალი მიწები, ეპატიოს სათევზაო ადგილის იჯარა და მიეცეს 100 ბერდანა. ეტყობა, ბერები ქრისტეს მცნების ქადაგებას თოფ-ზარბაზნით აპირებენ.

◆ **ახალი რუსული გაზეთები.** კვირას ტფილისში გამოვიდა ორი ახალი რუსული გაზეთი: ერთი—სატირიული „კუკურეკუ", რომელიც გამოსვლისათანავე დაიკეტა და ნომრები პოლიციამ წაიღო, მეორე—პატრიოტულ საზოგადოების ორგანო—„მატიანე პატრიოტულ საზოგადოებისა ტფილისში". ამ „მატიანეს" პირველ ნომერში მოთავსებულია მხოლოდ მთავრობის განკარგულებანი და ხსენებულ საზოგადოების „ლიდერის" მღ. გოროდცევის „პატრიოტული" წერილი. ამ წერილს შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს. პატრიოტულ საზოგადოებას ამას გარდა აზრადა აქვს გამოსცეს მეორე გაზეთიც „ვოლოს კავკაზა" (ხმა კავკასიისა). ხსენებულ საზოგადოების წევრმა აგრონომმა დემენტიევმა და მოსევიჩმა გამოსცეს მოწოდება, რომლითაც სთხოვენ თანამგრძნობელთ, დახმარება აღმოუჩინონ. ესენი, სხვათა შორის, სწერენ, რომ კავკასიაში სულ უკიდურეს მიმართულების გაზეთებია, რომელნიც მტრობას სთესენ ხალხში, ჯარს ახელებენ, მცხოვრებთ და სხვათ. ამ გაზეთის რედაქტორად მიუწვევიათ „ჩერ. ვეს." რედაქტორად ნამყოფი, ცნობილი გ. ა. პალმი.

◆ **საარჩევნო სიები.** ტფ. ქალაქის გამგეობას გუშინ საარჩევნო სიები წარუდგინეს: ნამესტნიკის კანცელარიამ, ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა, ტფ. მიხეილის საავადმყოფოს უფროსმა, კავკასიის გზათა ოლქის სამმართველომ, ტფ. ქალთა პირველმა გიმნაზიამ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის კონტროლმა და ტფ. საგუბერნიო სამხედრო საქმეთა საკრებულომ.

◆ **უმიწობა.** ხევსურეთში ახიელის სოფლის საზოგადოება ძლიერ შევიწროებული ყოფილა უმიწობით. ამ საზოგადოებაში, როგორც თურმე თვით სამაზრო ადმინისტრაცია ამოწმებს, ყოველ წლივ მცხოვრებნი შიმშილს და ყოველ ნაირ გაჭირვებას იტანენ. ეხლა ხან აღნიშნულ საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს, თავისუფალი ადგილები მიეცეთ თელავის მაზრაში.

◆ **ახალი გაზეთები.** გაზეთი „ახალი დროება", რომელიც 26 თებერვალს უნდა გამოსულიყო, გამოვა, როგორც განზრახულია, ხვალ, პირველ მარტს. მეორე ახალი გაზეთი, „განთიადი", გამოვა 5 მარტს. „განთიადი" „სხივი"-ს ხელის მომწერთაც გაეგზავნებათ.

◆ **ფულის ამკრებნი.** როგორც გადმოგვცეს, ტფილისში გაჩნდნენ თურმე ვილაც უცნობი კაცები, რომელნიც ფულსა ჰკრეფავენ ვითომდა დასავლეთ საქართველოში ამ ბოლო დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ, ნამდვილად-კი თავიანთ ჯიბის სასარგებლოდ.

◆ **ახალი რეჟისორი.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ რეჟისორად მოიწვია ბ-ნი ვ. ალექსეევ-მესხიშვილი, ხოლო ადმინისტრატორად—ეხლანდელი რეჟისორი ვ. გუნია.

◆ **საარჩევნო აგიტაცია ავლაბარში.** ავლაბარში უკვე დაიწყო საარჩევნო აგიტაცია. დასახელებულია უკვე 15 ამომრჩეველი, რომელნიც ხმას აძლევენ ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვს.

◆ **ახალი მაზრა.** ახალ მაზრაში, რომელიც ტფილისის გუბერნიაში არსდება, შევა შირაქის ველიც და საზამთრო ბინები განჯის გუბერნიის საზღვრისა და ზაქათალის ოლქისა.

◆ **სასმელ დუქნების დახურვა.** სამაზრო ადმინისტრაციის განკარგულებით ადგილ „კაკეში" დახურულ იქმნა ყველა სასმლის დუქანი, რადგან ეს დუქნები, ადმინისტრაციის აზრით, ბოროტ-მოქმედების ბუდედ იყო გადაქცეული.

◆ **ლექციების ნებართვა.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო ბ-ნთ ი. თ. სემიონოვს და ა. ა. ქალანთარს 5 მარტს წაიკითხონ საარტისტო საზოგადოებაში ლექციები. სემიონოვმა უნდა წაიკითხოს სახელმწიფო სათათბიროზე, ხოლო ქალანთარმა—აგრარულ საკითხზე.

◆ **რედაქტორის დამტკიცება.** „ნოვოე ობოზრენიეს" ახალ რედაქტორად დამტკიცებულ იქმნა ნ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ სთხოვა გენერალ-გუბერნატორს, ნება დართოს, რომ სავაჭრო—სამეურნეო პოლიციამ საგანგებო ბუდკებში თითო რევოლვერი იქონიოს, რადგან აგენტები ფულს აგროვებენ და უიარაღოდ გაჭირვებაში არიანო.

◆ ი. მამინაიშვილს, მაჭავარიანს და სხვათა, რომელნიც 22 ოქტომბერს დაზარალდნენ, უმაღლესმა მთავრობამაც უარი უთხრა ზარალის ანაზღაურებაზე.

◆ გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო საექიმო საზოგადოებას გამართოს პირველ მარტს საზოგადო კრება.

◆ მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფი შახმალიევი, რომელიც ამ ჟამად გუბერნატორთან საგანგებო საქმეთა მოხელედ არის, ინიშნება მაზრის უფროსად ახლად დაარსებულ მაზრისა ტფილისის გუბერნიაში.

◆ გუბერნატორის განკარგულებით საბურთალოზე დაინიშნა 3 ქვეითა საპოლიციო დარაჯი იმ მედუქნეების ხარჯით, რომელნიც იქ იმყოფებიან.

◆ 27 თებერვალს თავის ბინაზედ, ოქრომჭედლებისა და სურფ-ნიშანის ქუჩების შესართავთან, ნახეს მოკლული განჯის გუბერნიის მცხოვრები კონსტანტინე იერემოვი. იერემოვს 20-ზე მეტი ჭრილობა აღმოაჩნდა. ჯერ ვერ გამოარკვიეს, რა განზრახვით არის ჩადენილი მკვლელობა.

◆ ტფილის-ბორჩალოს სამაზრო სამრევლო სკოლების მეთვალყურედ ნაცვლად მღ. მახათაძისა დაინიშნა მღ. ბედიაშვილი—სოფ. საგარეჯოდან.

◆ აგერა მეოთხე კვირა სრულდება, რაც ლ. მიქელაძის და გ. აკოფოვის (ესენი ამხანაგები არიან) სამკერვალო-ქარხანაში გაფიცვაა. იქ მუშაობს 16 სული. ამ თექვსმეტში, გარდა ორისა, მუშაობდნენ ნაჭრობით, ორი-კი თვიურად იყო. მათ ეძლეოდათ ნაჭერში 4-დან 8 მანეთამდის. ერთ მათგანს სამკერვალოს პატრონმა გამოუცხადა, რომ მე მაგოდენა ფასის მიცემა ნაჭერზე არ შემიძლიან, რადგან მოგება არაფერი მრჩება. ქარგლები არ დასთანხმდნენ. მაშინ პატრონმა გამოუცხადა, თვიურად აგიყვანთ, თვეში 30 მანეთიდან 45 მანეთამდის მოგცემთო, მხოლოდ მუშაობით რვიდან რვამდის იმუშავეთ და სადილისთვის ერთი საათის ვადა გექნებათო. ქარგლებმა მოითხოვეს პირველი: რვიდან რვამდის მუშაობა და საათ ნახევარი სადილისთვის; მეორე: ჯამაგირი 35 მანეთიდან 50 მანეთამდის და სხვა. ამ მოთხოვნილებებზე პატრონმა უარი განაცხადა და გაფიცვა დღესაც არის.

◆ ამას წინად პიატიგორსკიდან ჩამოსულა ქ. თელავის მცხოვრები ლომიძე, რომელიც იქ ერთს მედვინესთან ყოფილა ნოქრად და დავალებული ჰქონია კახეთში ღვინოები შეეძინა და წაეღო. ლომიძეს მართლაც შეუძენია კარგა ძალი ღვინო და ბოჭკებით წამოუღია. თითონ წინდაწინ ტფილისში ჩამოსულა და რადგან კარგა ხნის ლოდინის შემდეგ იქიდან მეურმეები არ ჩამოსულან, წასულა უკან კახეთში. გზაზე სადღაც გაჰქრა ლომიძე, რომელსაც როგორც ამბობენ, კარგა ბლომა ფული ჰქონია თან. კარგა ხნის ძებნის შემდეგ ლომიძე აღმოუჩენიათ სამგორის მინდვრებში მოკლული და მიწაში ჩაფლული. ამ საქმეში ბრალდებული ახალ სოფლის მცხოვრები ტატო ოსიაშვილი სართიჭალის ბოქაულს დაუპატიმრებია. ოსიაშვილს საპატიმროს კედლები გამოუნგრევია ღამე და გავარდნილა.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილში დესიმონოვის მოედანზე მცხოვრებ პეტრე შირიაევს და იმის შვილს სიმონს, ჩხუბი მოუვიდათ. შვილმა მამა სასიკვდილოდ დასჭრა. შირიაევი მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს, მაგრამ გზაზედ გარდაიცვალა.

ქუთაისის ამბები

◆ 22 თებერვალს ს. აჯამეთში, ნაშუადღევის 4 საათზე, როცა მ. ანანოვი და ვარციხელი მემამულე მელმანი ეტლით ქუთაისიდან მოვიდნენ, დასჭრეს. საქმე აი როგორ მომხდარა: ქუთაისიდან რომ მოვიდნენ, ოთხი კაცი თოფებით თავს დაესხა და ერთი მათგანი, სახელდობრ, მელმანი დასჭრა. მ. ანანოვი, სახლში შევიდა იმ აზრით, რომ არაყი გამოეტანა და მეეტლესთვის დაელევინება, მელმანი კი დერეფანში დარჩა. სწორედ ამ დროს ორი თოფით შეიარაღებული კაცი ამავე დერეფანში შევიდა და ორიც გარედ დარჩა. დერეფანში შესულებმა მელმანს ფული სთხოვეს და როცა უარი მიიღეს, რამდენჯერმე თოფი გაისროლეს. იმ დროს მ. ანანოვიც გამოვიდა სხვა ოთახებიდან და, რა დაინახა თავდამსხმელნი, იმ წამსვე კარები დერეფნისა ჩაუკეტა. დერეფანში დარჩენილმა უცნობებმა სროლას მოუხშირეს და მ. ანანოვმაც უპასუხა რევოლვერით. ხუთი ტყვია რევოლვერისა რომ დასცალა, მაშინ შეამჩნია, რომ უცნობნი დერეფნიდან გარედ გავიდნენ; ერთმა მათგანმა ბარბაცით ოცი ნაბიჯი გაიარა და უსულოდ დაეცა, ხოლო მეორე დანარჩენებს შეუერთდა და საჩქაროდ წავიდნენ ყველანი. მ. ანანოვს მაშინვე დერეფნის კარი გაუღია, მელმანი ოთახში შეუყვანიათ, ჭრილობა შეუხვევიათ და პატარა ხანს უკან ქუთაისში საავადმყოფოში წაუყვანიათ. ჭრილობა მსუბუქია და მალე მორჩება. უცნობებს, როგორც სჩანს, სცოდნიათ, რომ ამ დღეს ანანოვსა და მელმანს ფული უნდა მოეტანათ ქუთაისიდან და გაძარცვის აზრით ჩაუსაფრდნენ და გაძარცვავდნენ კიდეც, რომ მ. ანანოვს გულადობა არ გამოეჩინა. როგორც ზევითაც ვთქვი, ერთი ავაზაკთაგანი მოკვდა. იგი აღმოჩნდა ადგილობრივი მცხოვრები.

◆ 24 თებერვალს, ქუთაისში ჩამოვიდა გენერალი ალიხანოვი თავის მოგზაურობიდან ლეჩხუმში. თან ჩამოჰყვა ჯარი, რომლის ბარგიც სოფლის ურმებს მოჰქონდათ. ფერმიდან დაწყებული გენერალ-გუბერნატორის ბინამდე ჯარი იყო გამწკრივებული ალიხანოვის მოსვლის მოლოდინში.

◆ 23 თებერვალს აქ მოვიდა გენერალი შირინკინი. მეორე დღეს საპატიმროდან გაანთავისუფლეს 11 ტუსაღი, რომელთა გვარებიც დეპეშით გაცნობეთ. როგორც ქალაქში ლაპარაკობენ, გენერალ შირინკინს მოუთხოვნია დატუსაღებულთა საბუთები და რა დარწმუნებულა, რომ დაჭერილნი არაფერში არიან დანაშავენი, გაუნთავისუფლებია. როგორც განთავისუფლებულებმა გვითხრეს, ბრძანება ტუსაღთა დათხოვნის შესახებ თვით გუბერნატორ ოსეცკის ხელით არის დაწერილი. მიუხედავად 11 კაცის განთავისუფლებისა, 50 ტუსაღის გაგზავნისა სენაკში, პოლიტიკურ პატიმართა რიცხვი ქუთაისის სატუსაღოში დიდია. სატუსაღოში მეტის-მეტი სივიწროვეა თურმე—საპატიმროს შენობას 200 კაცის დატევა შეუძლია და დღეს 300 კაცს აღემატება თურმე პატიმართა რიცხვი.

◆ თითქმის ორი თვეა, რაც ქუთაისის ქალაქის გამგეობა, როგორც უკვე აღნიშნა „ცნ. ფურცელ"-მა, აღარ არსებობს. ერთი წევრი გამგეობისა ვ. კანდელაკი იანვრის შუა რიცხვებში დააპატიმრეს და დღესაც იქ არის, მეორე—გ. გველესიანი, მას აქეთ, რაც სახლი დაეწვა, სადღაც წავიდა, და არავინ იცის, სად არის. ამნაირივე საქმე დაემართა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, რომლის თავმჯდომარე და მისი მოადგილე ქუთაისში არ არიან, და თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს, საბჭოს გადაწყვეტილობის თანახმად, საბჭოს წევრი ა. გამრეკელი. საბჭოს ბუხჰალტერი ა. კრინცკი გუშინდლამდე დაპატიმრებული იყო, ხოლო კანტორის გამგე ერთი კვირაა, რაც ტფილისში წამოვიდა.

◆ ქალაქში ხმა დადის, რომ მოკლე ხანში მოხდება ყრილობა თავად-აზნაურობისა, რომელსაც აზრადა აქვს მოილაპარაკოს სადღეისო საკითხებზე. იმასაც ამბობენ, რომ ამ კრებისათვის მზადდება საგანგებო მოხსენება, რომელშიაც დასურათებულია ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა. დროც არის!

◆ სოხუმიდან ჩამოსულებმა გვითხრეს, რომ იქაურ რუსების პარტიას მოსვენებას არ აძლევს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციისა და ქალაქის საქმეების სათავეში ქართველები არიან ჩაყენებულნი. კირიონის დანიშვნამ სოხუმის ეპისკოპოსად ხომ სულ ცეცხლზე წყალი დაასხა. სამწუხარო უფრო ის არის, რომ ამგვარ რუსთა მეთაურებში ურევიან იმისთანა კაცები, რომელთაც ბევრი მოხიბლეს თავიანთ ლიბერალობით და ეხლა მათმა კაიკაცობამ თავი იჩინა. გალიცინის რეჟიმის დროს აქაური რუსები სოხუმის კოლონიზაციის აზრით იყვნენ გატაცებულნი და ეხლა, როცა მათ მადას ცოტა არ არის ფრთა შეეკვეცა, ისე გაალმასებულნი არიან, რომ მზად არიან კბილით დაწიწკნონ თავიანთი მოწინააღმდეგენი. გალიცინის დროს მომხრენი აღარა ჰყავთ და თუ დარჩა ვინმე, უძლურია შველისათვის და ამის გამო მიმართეს პეტერბურგის კონსერვატიულ პრესას, საცა ოლქის უფროსი ჯანდიერი და ქალაქის თავი თავდგირიძე გააქვთ და გამოაქვთ. იმავე კაცმა გადმოგვცა, რომ დამოკიდებულება მეგრელ მოიჯარადრე და მემამულეთა შორის მეტად გამწვავებულია. მემამულენი და მათ შორის ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი თ-დ გიორგი შარვაშიძე თავის მამულზე აღარ აყენებენ მოიჯარადრე მეგრელებს და მათ გადასახლებას სთხოვენ თურმე ადმინისტრაციას. ასეთი გამწვავება დამოკიდებულებისა იმან გამოიწვია თურმე, რომ შარშანდელი საიჯარო გადასახადი არ შეიტანეს და ამით გაგულისებული მემამულენი სასტიკად უპირობენ დასჯას. რიცხვი მეგრელ მოიჯარადრეთა, როგორც გვითხრეს, სოხუმის ოლქში 40.000 აღემატება და ამიტომ ეს გარემოება დასაფიქრებელია.

◆ ჟანდარმის პოლკოვნიკის ნიკოლაევის ავადმყოფობის გამო, იმის მოვალეობას ასრულებს კუბლიცკი პიოტუხი.

◆ ვიცე-გუბერნატორი დადეშქელიანი ამას წინად იყო სალხინოსა და ხონში იმ აზრით, რომ მცხოვრებთათვის სახელმწიფო და საერო გადასახადი მოეთხოვნა. მოთხოვნილება, რასაკვირველია, შეასრულეს და ხვედრი ფული ხაზინაში შეიტანეს. კერძოდ სალხინოს მცხოვრებთ დაავალეს პრინცესა მიურატს გასწორებოდნენ, რაც დაუყოვნებლად შეასრულეს. შარშან შემოდგომას აქეთ პრინცესა მიურატი თავის მამულს გამოეცალა და ეხლა, როცა ხალხი მორბილებაში მოიყვანეს, ისევ დაბრუნდა.

◆ ამ დღეებში ბალახვანის ქუჩაზე მოჰკლეს ღამით ახალგაზდა ყმაწვილი მანდარია, რომელიც ვითომ წითელ-რაზმელი უნდა ყოფილიყოს. მოკლული იყო „ვინტოვკის" ტყვიით.

◆ 23 თებერვალს ქალაქის მოურავმა, თანახმად საბჭოს 19 თებერვლის დადგენილებისა, შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის წინაშე შესახებ იმისა, რომ გაუქმებულ იქმნეს ის დადგენილება, რომლის ძალითაც შებინდების შემდეგ ქუჩაში გავლა შეუძლებელია, და აგრეთვე განთავისუფლებულ იქმნენ საპყრობილიდან ქალაქის საბჭოს ხმოსნები და ისინი, რომელნიც ქალაქის თვითმმართველობის დაწესებულებებში მსახურებენ.

◆ 23 თებერვალს, როგორც უკვე იყო „ცნ. ფ."-ში, ქუთაისს ეწვია კავკასიის პო-

---

ფელეტონი

სასოფლო-მეურნეობა და კაპიტალისტური განვითარება

(შემდეგი*).

VI. ჰერცის „აგრარული საკითხები."

როგორც წინა წერილში ვნახეთ, კაუცკის წიგნში ორთოდოქსიამ დასტოვა ძველი პოზიცია, თუმცა არა აშკარად, ნიღაბი აიფარა. კაუცკის დოგმატიზმმა, ძალად თვალს დაბრმავებამ უტყუარის ფაქტების წინაშე და იმის აზრების ერთი მეორის წინააღმდეგობამ გამოიწვია ჰერცის წიგნი „აგრარული საკითხები," რომელშიაც ავტორი სცდილობს, გამოააშკარაოს ძველ დოგმის უვარგისობა და ამასთანავე საფუძველი დაუდვას ახალს თეორიას. ჩვენ აქ არ გავარჩევთ მთელი წიგნის შინაარსს, მხოლოდ შევეხებით ავტორის შეხედულებას სამ საკითხის შესახებ: რა როლი ეკუთვნის კაპიტალს მიწათმოქმედებაში, რამდენად შეუძლია წვრილს მიწათმოქმედებას კონკურენცია გაუწიოს მსხვილს და როგორია არა-კაპიტალისტური ევოლუცია მიწათმოქმედებისა.

ჰერცი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ კაუცკიც კი იძულებული იყო გამოეცხადებინა ბოლოს და ბოლოს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მომწყვდეულია ისეთ ადგილას, საიდანაც არც წინ შეუძლია წასვლა და არც უკან. ჰერცი ამბობს: სასოფლო-მეურნეობაში ჩვენ ვხედავთ კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, მაგრამ არა ვხედავთ ამასთანავე წარმოების განვითარებას; ამას ამტკიცებს რუსეთის, ავსტრიის, საფრანგეთის და ამერიკის სასოფლო-მეურნეობის განხილვა. „რუსეთში შესული კაპიტალიზმი იმორჩილებს მიწათმოქმედების ვაჭრობა-წარმოებას, საქონლის მოძრაობას, მაგრამ თვითონ მიწათმოქმედებაში არ ახდენს წარმოების რევოლუციას". დავალიანებულ გლეხების მუშა ხელის სიიაფე აბრკოლებს მანქანების შემოღებას და სხვა და სხვა გაუმჯობესების საქმეს; ასევე მოქმედებს მუშების განუვითარებლობა. ჰერცს შეუძლებლად მიაჩნია სასოფლო მეურნეობის პროგრესი ზედმეტ მუშების შემცირების შემწეობით: მაშინ ისე აიწევდა საიჯარო ფასი, რომ ყოვლად მოუხერხებელი იქნებოდა ინტენსიური მეურნეობა. რენტა, საკრედიტო და სავაჭრო სარგებელი, გადასახადები—აი, საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ კაპიტალისტური მოგება ჩამოართვათ პირდაპირ მწარმოებელს; ამ მოგებას ზოგიერთი ეკონომისტი უწოდებს წარმოების „რისკის" პრემიას, მაგრამ საქმე ისაა, რომ სასოფლო მეურნეობაში ამ პრემიას იხდიან სწორედ ისინი, ვინც „რისკს" ეწევიან, ხოლო იღებენ ისინი, ვისაც არავითარი წილი არა აქვთ „რისკში".

მსგავსსავე სურათს წარმოადგენს ავსტრიის ტიპიური სასოფლო-სამეურნეო ოლქები—ტიროლი და ალპები, სადაც კაპიტალიზმს არავითარი გავლენა არა აქვს წარმოების გაუმჯობესებაზე, სადაც თუ უზომოდ დავალიანებული გლეხები სტოვებენ მიწებს, იმ მიწებს შემდეგ მსხვილი მესაკუთრენი იგდებენ ხელში, მაგრამ სრულებით არა ფიქრობენ წვრილ საგლეხო მეურნეობის მაგიერ მსხვილის შემოღებას, და გლეხების მიწები ხდება მხოლოდ სანადირო ადგილებად. რაც შეეხება კაუცკის აზრს, რომ კაპიტალისტური წარმოება ამზადებს მუშებს მომავალ ორგანიზაციისათვის, აჩვევს მათ ერთობას და სოლიდარობასაო,—ამას სრულებით არა ვხედავთ სოფელში. „პირიქით, ამბობს ჰერცი: უკიდურესი ფორმა აგრარულ კაპიტალიზმისა ყველაზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში არის პარცელური (წვრილი) იჯარა, რომლის დანიშნულებაა სრულიად მისპოს მსხვილი წარმოება, თუ დიდ ხანს გასტანს დღევანდელი აგრარული ორგანიზაცია და მცხოვრებთა რიცხვის მომატება. და რადგან სასოფლო მეურნეობაში კაპიტალიზმი სრულიად არა ჰქმნის იმ სამეურნეო და ფსიხოლოგიურ პირობებს, რომლებიც აუცილებლად საჭიროა წარმოების უმაღლეს ფორმისათვის, მარტო ეს საკმარისია, რომ ჩვენი უმთავრესი მიზანი იყოს ხელი შევუწყოთ იმას, რის განხორციელებასაც სცდილობს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული მოძრაობა".

ავსტრიის ცხოვრება შეძლებას აძლევს ჰერცს აგრეთვე უარჰყოს კაუცკის აზრი, ვითომ იპოტეკის კონცენტრაციის შემწეობით ხდებოდეს მიწის მფლობელობის კონცენტრაცია. პირიქით, ჰერცი მრავალის სტატისტიკურის ცნობით ამტკიცებს, რომ იპოტეკა იწვევს საკუთრების დეცენტრალიზაციას. მსხვილ კაპიტალისტურ ბანკების მონაწილეობა იპოტეკის კრედიტში ძალიან მცირეა, თანაც ისინი სესხს აძლევენ მსხვილ სახლის-პატრონებს და მემამულეებს; მთელი მეოთხედი საიპოტეკო კრედიტისა დემოკრატიულ დაწესებულებათა ხელშია, რომელთაც ურიცხვი წვრილი წევრი ჰყავთ. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ იპოტეკის სახით გლეხის მიწას აწევს გადასახადი თანამემკვიდრეთა სასარგებლოთ, რომელთაც ერთს მემკვიდრეს დაუთმეს მიწა, რათა იგი არ დანაწილებულიყო. აქედან ჰერცს შემდეგი დასკვნა გამოჰყავს, რომელიც დიდად საყურადღებოა კაუცკისათვის. კაუცკის შეხედულობით, გლეხი ყველაზე უწინარეს პატრონია, მწარმოებელი, მესაკუთრე და, მაშასადამე, ეკუთვნის გამყვლეფელთა კლასს, მაშინ, როდესაც მუშა, პროლეტარი გაყვლეფილთა კლასის წევრია. მერე რას ვხედავთ? გლეხი საიპოტეკო ბანკის სასარგებლოდ იხდის ფულს, ეს ფული მიდის პროლეტარის ჯიბეში (თვითონ კაუცკი მოწმობს, რომ მუშები არიან საიპოტეკო ბანკის წევრები და არა გლეხები და ხელოსნები); გამოდის, რომ პროლეტარია „მესაკუთრე" გლეხის გამყვლეფელი, ითვისებს მისგან ზედმეტ ღირებულობას.

მაგრამ ჰერცს არ უნდა ასე ცალმხრივად შეხედოს იპოტეკას. სტატისტიკურის ცნობებით გვიჩვენებს, რომ იპოტეკა მარტო ექსპროპრიაციის ფორმა არ არის, რომ ხშირად გლეხი მიწის ყიდვის დროს ფულს სესხულობს გარეშე პირისაგან და ეს ფული გადადის საიპოტეკო ვალად. კაუცკის აზრით, იპოტეკების შემწეობით ხდება საკუთრების კონცენტრაცია რამდენისამე საკრედიტო დაწესებულებების ხელში, ეს კი აადვილებს მომავალის საქმეს, რადგან, როდესაც პოლიტიკური ძალა გვექნება მოპოვებული, ადვილად მოვახდენთ იპოტეკების ექსპროპრიაციას, ადვილად გადავაქცევთ ყველა მამულს სახელმწიფოს საკუთრებად. ჰერცი კი ფიქრობს, რომ პირიქით რადგან საკრედიტო დაწესებულებანი უფრო და უფრო დემოკრატიულდება და მრავლდება იმათ წევრთა რიცხვი, მრავლდება რიცხვი არა-პირდაპირ მესაკუთრეებისა—საიპოტეკო კრედიტორებისა, იპოტეკების სახელმწიფოს ხელში გადაცემა უფრო ძნელდება, ექსპროპრიაცია ამ შემთხვევაში ეხება არა რამდენსამე კაცს, არამედ მრავალ პატარა „კაპიტალისტის" ინტერესებს. ეს კიდევ ერთხელ იმას გვიმტკიცებს, რომ, გარდა კაპიტალიზმისა, უნდა გამოვნახოთ სხვა გზაც მიწის საკუთრების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გასაზოგადოებრივობისათვის.

კიდევ უფრო მეტს მნიშვნელობას აძლევს კაუცკი ჩრდილო-ამერიკის შტატების გამოცდილებას. იქ სამეურნეო განვითარება მიმდინარეობდა ნორმალურ პირობებში, მას არ აბრკოლებდა არც ისტორიული ტრადიციები, არც დაწესებულებანი, არც ხალხის ფსიხოლოგია; იქ არა ყოფილა ფეოდალიზმი, მემამულე თავად-აზნაურობა, დაბეჩავებული გლეხკაცობა, მასთან ბევრი იყო და არის თავისუფალი მიწა. ამიტომ მარქსისტებს თავიდანვე დიდი იმედი ჰქონდათ ამერიკისა: იქ განვითარდება სავსებით მსხვილი კაპიტალისტური მიწათ-მოქმედებაო. „წვრილი და საშუალო საკუთრება დამოუკიდებლად მომუშავე ფერმერებისა—ეს საფუძველი ამერიკის პოლიტიკურ წესწყობილებისა—უფრო და უფრო ისპობა უზარმაზარ ფერმერების მეტოქეობის წყალობით", სწერდა ენგელსი 1882 წ. უფრო გადაჭრით წინასწარმეტყველობდა ლაგარგი, რომ სულ მოკლე დროში სასოფლო მეურნეობის კონცენტრაცია და სოფლის პროლეტარიატის გამრავლება სრულიად დაამსხვრევს ამერიკის ახლანდელს სამეურნეო წყობილებასაო, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდათ მარქსისტებს და თვითონ კაუცკიმ აღიარა: „ლაპარაკიც არ შეიძლება ამერიკაში წვრილ სასოფლო მეურნეობის მოსპობის შესახებაო". ხოლო კაუცკის საზოგადო ჩვეულებაა, ერთის მხრით—აღიაროს და მეორე მხრით უარჰყოს. მართალია, აღიარა, რომ

---

*) იხ. „ცნ. ფურ." № 3008.

ლიციის უფროსი გენერალი შირინკინი, რომელიც შეუდგა ჟანდარმთა პოლკოვნიკისა და გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაპატიმრებულ პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეების განხილვას. აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური დამნაშავენი მხოლოდ დაბეზღებითა და ეჭვის მიტანით ყოფილან დაჭერილნი; მათი დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთები კი ვერაფერი უნახავთ. საქმეების განხილვას შედეგად მოჰყვა ბევრის განთავისუფლება.

✦ 25 თებერვლისათვის მოწვეულია ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, რომელზედაც უნდა განიხილონ საქმე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოემზადოს ქალაქი საარჩევნო სიების შესადგენად და სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ასარჩევად.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 27 თებერვალი. პირველ მარტს ელიან მანიფესტს ამნისტიის შესახებ. ფიქრობენ, დაპატიმრებულთა 98 პროცენტის განთავისუფლებას.

— 25 თებერვალს ბალტიის მხარეს გაგზავნეს ახალი მაშველი ჯარი.

— ფინლიანდიაში გაგზავნეს რუს-ჟანდარმების რაზმები.

— დროებით საპატიმროებისათვის გადადებულია დიდი ფული.

— სასახლის დარაჯთა რიცხვი გააძლიერეს 300 კაცით.

— ელიან განცხადებას, რომლითაც ხაზინამ უნდა იკისროს მოძრაობის დროის ზარალის ანაზღაურება.

— ეპისკოპი ლეონიდი უნდოდათ სოლოვეცკის მონასტერში გაეგზავნათ *). კირიონი და ლეონიდი მთელი თვეა სათათბიროდ არ მიუწვევიათ.

— პარიზიდან დაბრუნებული გაპონი დააპატიმრეს. მინისტრი ტიმირიაზევი გაპონის დაპატიმრების დიდ უსამართლობას და წინდაუხედაობას უწოდებს.

— „ნოვ. ვრ.“-ს დეპეშით აცნობებენ ტფილისიდან, რომ ცნობები ქუთაისის გუბერნიაში ძარცვა-გლეჯის შესახებ ტყუილი და გადაჭარბებულიაო. სულთან-კრიმ-გირეი სამსახურს თავს ანებებს. იმის ალაგზედ კანდიდატებად ასახელებენ სენატორ კუზმინსკის, ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორად ნამყოფ კოვალენსკის, ნამესტნიკის საბჭოს წევრს მიცკევიჩს, გუბერნატორს სტოლიპინს, არხეოლოგს ვეიდენბაუმს, თავ. დ. მელიქიშვილს.

შულავერი. 26 ნოემბერს შულავერში ტფილისის ოლქის ს. სამართლომ განიხილა საქმე სომხის მღვდლის ერზიკიანცისა და სოფელ ახპატის მცხოვრებ 18 გლეხისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევა მთავრობის მოხელეთა და სასამართლოს ბოქაულისათვის და საერობო დარაჯების მოკვლის განზრახვა. სასამართლომ გაამართლა ბრალდებულნი. ამასთან სასამართლომ დაადგინა, აღძრას სისხლის სამართლის საქმე ადგილობრივ ბოქაულის თავ. ავალიშვილისა და თავ. ბარათაშვილის მამულის გამგის ზურაბ აბდუშელიშვილის წინააღმდეგ.

შენიშვნა

ამას წინად „ცნობის ფურცელ“-მა დასტამბა წერილი, რომლის ავტორი მარტო „მამებს“ აბრალებს იმ სამწუხარო მოვლენას, რომ დღემდის ქართულს სათავად-აზნაურო გიმნაზიას არ მიუღია მთავრობისაგან უფლება დედა-ენაზე მოაწყოს საგნების სწავლება ყველა საშუალო კლასებში და გარდაქმნას იგი ეროვნულ საშუალო სასწავლებლად.

ამ სტრიქონების დამწერი არ ვეკუთვნი არც „მამებს“ და არც „შვილებს“ სააზნაურო გიმნაზიისას, დიდი ხანია გამოვეთხოვე მას და შემიძლიან მიუდგომელი მსჯელობა განვუზიარო მკითხველს აღძრულ საკითხის შესახებ.

სათავად-აზნაურო გიმნაზიას მართავს ორი დაწესებულება: საპედაგოგიო საბჭო და გამგე კომიტეტი. პირველის წევრებად ბრძანდებიან მხოლოდ „შვილები“, რომელთა შორის არც ერთი „მამა“ არ მოიპოვება. მეორეს წევრებში ხუთი „შვილია“ და ორი „მამა“.

ვსთქვათ, რომ აღნიშნულს დაუდევრობაში მხოლოდ და მხოლოდ გამგე კომიტეტია დამნაშავე, განა უკიდურესი უსამართლობა არ იქნება დაუდევრობა შვიდის წევრისა ორს „მამა“-ს მოვახვიოთ კისერზე და ხუთი შვილი კი უმანკო კრავებად გამოვიყვანოთ? ამ კრავებსაც ხომ ისეთივე ხმა აქვთ, როგორც ხნიერს ცხვრებსა. რატომ არ მოიხმარეს თავისი უფლება და საქმეს სწრაფი მსვლელობა არ მისცეს?

თუ მეტყვით, „მამებს“ ბელადობა უნდა გაეწიათ „შვილებისათვისაო“, მოგახსენებთ, რომ ჩვენს დროში კიბე გადმობრუნდა და „მეთაურობა“ ხელთ იგდეს უდიდესს საქვეყნო საქმეებშიაც უწვერ-ულვაშო ყმაწვილებმა. მით უმეტს შეეძლოთ გამგე კომიტეტის „შვილებს“ უნარი გამოეჩინათ იმისთანა მარტივსა და უბრალო საქმეში, როგორც არის მიღება უფლებისა—დედა-ენაზე მოეწყოს საგნების სწავლება ქართულს გიმნაზიაში. მაგრამ ეს უნარი ვერ გამოიჩინეს.

თავი არ გამოიდეს აგრეთვე იმათ, ვისაც პირდაპირ აბარია ეს საქმე, ვინც მოვალეა მხოლოდ მასზე იზრუნოს და კეთილად აწარმოვოს. მე მოგახსენებთ მასწავლებელთა კრებულზე, საპედაგოგიო საბჭოზე, მათ უნდა აღეძრათ ეს საკითხი, შესაბამი გადაწყვეტილება მიეღოთ, წარედგინათ გამგე კომიტეტისათვის და ეთხოვნათ მისთვის, რომ მას თავის მხრივ აღეძრა ჯეროვანი შუამდგომლობა მთავრობის წინაშე.

მაგრამ, ბედად, ამ შუამდგომლობის დაგვიანება არც უბედურობას და არც დიდს დანაშაულობას არ შეადგენს. იგი ბევრად უფრო ადვილად და სწრაფად იქნება შეწყნარებული და განხორციელებული ახლა, როცა მთავრობა ყოყმობიდან გამოვიდა ამ საკითხის შესახებ და ყველა ერს ანიჭებს უფლებას მოაწყოს თავისს ენაზე სწავლება ყველა კერძო სასწავლებელში. სულ ორის-სამის კვირის განმავლობაში მივიღებთ სანატრელს უფლებას მთავრობისაგან...

ბევრად უფრო მძიმეა მეორე დანაშაულობა, რომელშიაც წილი უძევს გამგე კომიტეტსაც და საპედაგოგიო საბჭოსაც. მეტადრე-კი უკანასკნელსა. მე მოგახსენებთ ეროვნულ სახელმძღვანელოების უქონლობაზე.

დიდ, ქართულს ენაზე ამჟამად არ მოიპოვება არც ერთ საგნის სახელმძღვანელო სასწავლებლისათვის. არა გვაქვს არც გეოგრაფია, არც ისტორია საქართველოსი და, ასე გასინჯეთ, ლიტერატურული ქრისტომატიაც-კი. არ გვაბადია საზოგადო გეოგრაფია, საზოგადო ისტორია, ფიზიკა, ქიმია, ბოტანიკა, ზოოლოგია, და სხვანი და სხვანი. ერთი სიტყვით, ამ მხრივ ჩვენში სრული გულსაკლავი სიცარიელე მეფობს.

უბედურება კიდევ ის არის, რომ ამ ნაკლის თავიდან აცილება ისე ადვილი არ არის, როგორც ხსენებულ უფლების მოპოვება.

თითქმის მთელი წელიწადი სწავლება შეწყვეტილი იყო ჩვენებურს სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, მასწავლებლები ჯამაგირს იღებდნენ და შეეძლოთ მთელი რიგი სახელმძღვანელოები გადაეთარგმნათ, ან შეედგინათ და დაებეჭდათ.

მაგრამ ჯერჯერობით ჭაჭანებაც არ არის მათი.

მაგრამ უთუოდ ჯოჯოხეთურმა მდგომარეობამ მთელის რუსეთისა და საქართველოისამ ხელი შეუშალა მათ.

ახლა მაინც უნდა დაიჩქარონ სახელმძღვანელოების გამოცემა, თორემ მიღებული უფლება განუხორციელებელი დარჩება, ფუჭად ჩაივლის, ვიზარალებთ დიდის ზარალით და შევრცხვებით დიდის შერცხვენითა.

შეიძლება ესეც მარტო „მამებს“ გადავაბრალოთ და „შვილები“ უმანკო კრავებათ გამოვიყვანოთ; მაგრამ ამითი საქმე განა გაკეთდება? პირიქით, კიდევ უფრო გაფუჭდება, რადგან უმანკო კრავები აღარ შეეცდებიან თავის წილი ბრალი დროზე გაასწორონ...

პირადად ჩვენ ყველა საგნების სახელმძღვანელოების გამოცემა ქართულს ენაზე საშუალო სასწავლებლებისათვის მაშინაც კი საჭიროდ მიგვაჩნდა და ვთხოულობდით, როდესაც ბრძანებლობდა პლევე და არავითარი იმედი არ იყო, რომ ეს სასწავლებლები ოდესმე მაინც ეღირსებოდნენ დედა-ენაზე სწავლებასა. ამას ვთხოულობდით არა მარტო პერიოდულ ორგანოების სვეტებზე, არამედ ცალკე პუბლიცისტურ გამოცემებშიაც. წაიკითხეთ მაგალითად, ჩვენი „ბურჯი ეროვნებისა“ 62 გვ..

„მარტო ოჯახის ერთგულება არა კმარა დედა-ენის გასაძლიერებლად. სკოლა, ეს უძლიერესი კულტურული ფაქტორი, უნდა ემყარებოდეს ქართულს ენას სრულის ბატონობით, როგორც უპირველეს საგანსა... სახალხო სკოლაში იგი უნდა მეფობდეს სრულიად და სავსებით. მასზე უნდა იყოს მოწყობილი მთელი სწავლა, ყველა საგნების გადაცემა, სახელმწიფო ენა კი უნდა ისწავლებოდეს, როგორც მხოლოდ ცალკე საგანი. გარდა ამისა დედა-ენას როგორც ცალკე საგანს, დათმობილი უნდა ჰქონდეს ყოველ წლის და ყოველს განყოფილებაში არა ნაკლებ ექვსი გაკვეთილისა კვირაში ყველა სახალხო სკოლაში, როგორც ერთ კლასიანში, ისე ორკლასიანში... საშუალო სასწავლებლებში ჩვენი დედა-ენა უწინდებურად უნდა გადაიქცეს სავალდებულო საგნად ყველა ქართველ მოწაფეებისათვის, როგორც სავალდებულოა ადგილობრივი ენა ფინლიანდიაში. მისი მასწავლებლები ჯამაგირით და უფლებით უნდა გათანასწორებულ იქმნან, უნდა დაეთმოს ყველა პროგიმნაზიაში და გიმნაზიაში კლასში არა ნაკლებ სამის გაკვეთილისა კვირაში. ამას გარდა (მოისმინეთ) საჭიროა ქართულს ენაზე გადაითარგმნოს და შესდგეს სახელმძღვანელონი გეოგრაფიისა, ისტორიისა, ბუნების მეტყველებისა და ყველა საგნებისა, რათა ქართველმა მოწაფეებმა ორივე სქესისამ გაიმეორონ შინ თავისს დედა-ენაზე ყოველ დღე ის, რასაც რუსულად სწავლობენ გიმნაზიებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში გაკვეთილებზე.“

სრული იმედია, რომ ჩვენი პედაგოგები ახლა მაინც ნამდვილს უნარს გამოიჩენენ და დააჩქარებენ სახელმძღვანელოების დამზადებას.

ეს იქნებოდა ნამდვილი ღვაწლი „შვილებისა“, რომელსაც ქართველი საზოგადოება ჯეროვნად დააფასებს.

იაკობ გოგებაშვილი.

პრესსა

გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, ითვალისწინებს რა ახლად გახსნილ საგლეხო ბანკის მნიშვნელობას კავკასიის გლეხებისთვის, სხვათა შორის, სწერს:

> ვინც დაახლოვებით იცნობს ჩვენი სოფლის გასაჭირს, იმას არ შეუძლიან ყურადღება არ მიაქციოს დროებით ვალდებულ გლეხების უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობას. აი სწორედ ამ დავიწყებულ მუშაკებს უნდა მიექცეს განსაკუთრებითი ყურადღება, მით უმეტეს რომ იმათი მოწყობა მიწის-მფლობელობის მხრივ გაცილებით უფრო რთული საქმეა, ვიდრე დამატებითი მიწების მიჩემება სახელმწიფო გლეხებისთვის.
>
> ამ ყველაზე მეტად გაჭირვებულ გლეხების (ე. ი. დროებით-ვალდებულების) სამიწათმფლობელო მოწყობა აუცილებლად თავიდანვე გვიყენებს საკითხს გამოსყიდვის შესახებ და მაშასადამე შეფასების შესახებაც. ამ საკითხს პრაქტიკა აუცილებლად შეჰხვდება. თვით შეფასების საქმე ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ იგი სავალდებულო იყოს გლეხებისთვისაც და მემამულეებისთვისაც.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს მიწის საერთო სიმცირეს როგორც ჩვენში, აგრეთვე რუსეთში და დაასკვნის, რომ ერთად ერთი საშუალება ამ მძიმე სახელმწიფოებრივ საქმის მოსაწყობად არის გამოსყიდვა კერძო მესაკუთრეთაგან მიწებისა უმიწწყლო და მრავალ-რიცხოვან გლეხებისთვისო.

> რაკი სანადელო მიწების გამოსყიდვა ნებაყოფლობითის შეთანხმებით ვერ მოხერხდა დღევანდლამდე, არაფერი საფუძველი არა გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი მემამულეები თანახმანი იქნებიან საგლეხო ბანკის შუამავლობით შეასყიდონ გლეხებს მიწები.

„ნოვოე ობოზრენიე“ იგონებს ყოფილ მინისტრის კუტლერის შეხედულებას, რომ საგლეხო ბანკი ხელოვნურად სწევს მიწის ფასებს და ამიტომ გლეხებისთვის ამ ბანკის მოქმედება არაფერს სანუგეშოს არ წარმოადგენსო; იგონებს აგრეთვე იმავ კუტლერის აზრს რომ აგრარულ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებლად საჭიროა კანონით ცნობილ იქმნას მემამულეებისაგან ნაძალადევად მიწის გამოსყიდვის პრინციპი სამართლიანის ფასით. დასასრულ „ნოვოე ობოზრენიე“ კუტლერის აზრს ემხრობა და ამბობს, ვიდრე ეს ძირითადი პრინციპი (ე. ი. ნაძალადევი გამოსყიდვა სამართლიანის ფასით) არ იქნება მიღებული, ვერც საგლეხო ბანკი და ვერც არაფერი სხვა პროექტი ვერ დააკმაყოფილებს ამიერ-კავკასიის გლეხობასო.

ჩვენ კი ხანია ვიცით, რომ „ნოვოე ობოზრენიე“ მაინცა და მაინც რადიკალურ აზრების გამომხატველი არ არის საერთოდ და აგრარულ რეფორმის შესახებ კერძოდ, მაგრამ მაინც არ გვეგონა, რომ ასე განურჩევლად აურევდა ეს გაზეთი ერთმანეთში დროებით ვალდებულ გლეხების სანადელო მიწებს და საერთოდ მიწის მფლობელობის გაფართოვებას. მას შემდეგ, რაც ჩვენებური დროებითი ვალდებული გლეხი ორმოცის წლის განმავლობაში იხდის გადასახადებს თავის ნადელებით სარგებლობისთვის, მას შემდეგ რაც რუსეთის გლეხები 3 ნოემბრის მანიფესტით განთავისუფლებულ იქმნენ გამოსასყიდ გადასახადებისაგან, ჩვენ გვეგონა, რომ ქართველს გლეხსაც ფას გადაუხდელად უნდა მიეცემოდეს სანადელო მიწები. ეს პირდაპირი ლოღიკური დასკვნაა 3 ნოემბრის მანიფესტის მთავარ აზრიდან და, ვისაც იმდენი სითამამე და რადიკალიზმი არა აქვს, რომ ამაზე შორს წავიდეს, ის მაინც უნდა სთქვას ჩვენებურ გლეხების შესახებ, რაც უმაღლესმა მთავრობამ სამართლიანად სცნო რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხთა შესახებ.

⁂

გაზეთი „კავკაზ“-ი აღტაცებულია იმ საკანონმდებლო აქტით, რომელმაც სახელმწიფო საბჭო ზემო პალატად გადააქცია. ზემო პალატა აუცილებელი საჭიროებააო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბენჟამენ კონსტანი, ჯონ სტიუ რტ მილლი, ვინტერი, მონტესკიე და სხვა ავტორიტეტები ამ აზრისანი არიან, და მეორე კიდევ იმიტომ, რომ სახელმწიფო სათათბიროში მოჰყვებიან ისინი, ვისაც ამომრჩეველთა მომეტებული ნაწილი მოისურვებს, ეს კი სრულიადაც იმას არა ნიშნავს, რომ სათათბიროში მოიკრიფებოდეს ქვეყნის საპოლიტიკო სიბრძნის ნაყოფი. „კავკაზ“-ის აზრით, ბევრი გონიერი და სასარგებლო კაცი არჩეულ არ იქნება მხოლოდ იმიტომ, რომ არა აქვს ნიჭი ხალხში ფართო სახელის მოხვეჭისა. აი სწორედ ასეთი პირების ცოდნა და სიბრძნე რომ გამოყენებულ იქნას სახელმწიფოს სასარგებლოდ, ზემო პალატაა საჭირო, სადაც ეს ბრძენნი იხდებიანო.

ჩვენ ვეთანხმებით „კავკაზ“-ს, რომ არჩევნები, განსაკუთრებით ისეთი, როგორიც რუსეთშია განზრახული მოახდინონ, საუკეთესო საზოგადო მოღვაწეებს სახელმწიფო სათათბიროს გარეშე დასტოვებს, მაგრამ რა გარანტიაა, რომ საუკეთესო მოღვაწეები ან წოდებრივ არჩევნებით და ან მთავრობის განკარგულებით სახელმწიფო სათათბიროს ე. ი. ზემო პალატის წევრად შეიქმნებიან. იქნება გვეგონოთ, რომ „კავკაზ“-ს მართლა სჯეროდეს, ვითომც ზემო პალატა საარჩევნო სისტემის ნაკლულევანებათა შემავსებელი დაწესებულება იყოს? სრულიადაც არა, „კავკაზ“-მა კარგად იცის, რომ ამ ნაკლულევანებას ზემო პალატა უფრო გააზვიადებს და არ კი გაასწორებს, მაგრამ... სიტყვა სხვაა და საქმე სხვა. რა შედეგს მოიტანს ზემო პალატის დაწესება, „კავკაზ“-ს მშვენივრად ესმის:

> რაკი ჩვენში ისე, როგორც დასავლეთ ევროპის კონსტიტუციებში, არსებობს ვეტოს უფლება (ე. ი. ხელმწიფის უფლებაა, არ დაამტკიცოს ხალხის წარმომადგენლებისაგან მოწონებული კანონ-პროექტი), სწორედ ხალხის საკონსტიტუციო უფლებათა დასაცველად აუცილებლად საჭიროა ორ-პალატიანი სისტემა: როცა ორი პალატა იმოქმედებს, მაშინ ვეტოს უფლებით უფრო ისარგებლებს მონარქი, რადგან კანონ-პროექტი, ორი პალატისაგან მოწონებული, უფრო მეტს ავტორიტეტს იძენს მონარქის თვალში, მაშინ როდე-

---

*) ამ მონასტერში სასულიერო წოდების პირთ ჰგზავნიან დასასჯელად.

მსხვილ ფერმების სივრცე შედარებით კლებულობსო, მაგრამ ამას თავისებურად ხსნის იმით, რომ სამხრეთში კრიზისია მსხვილი არა-კაპიტალისტურ პლანტატორულ მეურნეობისა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთში სრულიად დაეცა მეურნეობაო. აქედან ძველი აზრის განმეორება: „ამერიკაში იქ, სადაც წინ მიდის თანამედროვე სასოფლო-მეურნეობა, მსხვილი წარმოება უფრო და უფრო მეტს ადგილს იჭერს“; წვრილი წარმოება იქ იმარჯვებს, სადაც სასოფლო მეურნეობა ეცემა, ან სადაც საგლეხო მეურნეობას მეტოქეობას უწევს არა-კაპიტალისტური მსხვილი მეურნეობა. ჰერცი აქაც უტყუარის ცნობებით გვიმტკიცებს, რომ ნამდვილი სურათი სულ სხვაა. საოცარის სისწრაფით იზრდება უზარმაზარი ფერმები დასავლეთში და ზოგიერთ სხვა შტატებშიაც (ჩრდილო-ცენტრ); ხოლო ეს არა ხდება მშრომელთა მეურნეობის შესუსტებით, უკანასკნელიც იზრდება, რადგან ამ შტატებში ბევრია თავისუფალი მიწა. ამასთან მიწის დიდ ძალი ნაწილი შეძენილია არა დასამუშავებლად, არამედ სპეკულიაციისათვის და რაც უფრო მეტია შტატში უზარმაზარი ფერმა, მით უფრო ბევრია დაუმუშავებელი მიწა. მიწის დამუშავებაც, სადაც არის, სრულიად არა-რაციონალურია. სულ სხვა ამბავია ჩრდილო-აღმოსავლეთში, სადაც შემოღებულია სხვადასხვა მელიორაცია, მანქანები, ინტენსიური მეურნეობა და წარმოებაც უფრო ნაყოფიერია. სამაგიეროდ აქ ვხედავთ უზარმაზარ ფერმების რიცხვის შემცირებას, და აი ამ მოვლენიდან დაასკვნა კაუცკიმ: ჩრდილო-აღმოსავლეთში სასოფლო მეურნეობა დაეცაო. დაეცა იმიტომ, რომ არ გამართლდა კაპიტალიზმის ძლევა მოსილება?

არა ნაკლებ საყურადღებოა საფრანგეთის მეურნეობა. ევროპის სახელმწიფოთა შორის საფრანგეთში ყველაზე უფროა განხორციელებული მიწის მობილიზაციის თავისუფლება აქ ადრე გადავარდა თავად-აზნაურობა და მოისპო ფეოდალური ნაშთები. ამიტომაც საფრანგეთშიაც მალე მოელოდნენ მარქსიზმის ორტოდოქსები მსხვილ მიწათ მოქმედების გაბატონებას, საფრანგეთის გლეხი თავის თავსაც ღუპავს და მიწასაც და „სამიწათ-მოქმედო სისტემამ უნდა მიიღოს ინგლისური ხასიათიო (გახდეს სხვილი კაპიტალისტური), წვრილი მამულები უნდა გადავიდეს კრედიტორების-კაპიტალისტების ხელში ან საჯარო ვაჭრობით მიეცეს იმას, ვინც უფრო მეტს გადაიხდის“, ვერავითარი საშუალება ვერ დაიხსნის მოსპობისაგან წვრილ მიწათ-მოქმედებას, რომლის თვისებას შეადგენს მიწის ნაკლები ნაყოფიერობა, შრომის დაფლანგვა და ნიადაგის გაოხრებაო.

ასეთ აზრების დასამტკიცებლად ლიბკნეხტს ის საბუთი მოჰყავდა, რომ, მაგალითად, ერთი აკრი ინგლისში საშუალოდ მეტს ხორბალს იძლევა, ვიდრე საფრანგეთში, მაგრამ ამ შედარების დროს ლიბკნეხტს დაავიწყდა სხვა პირობები. ლონდონი პურის საერთაშორისო ბაზრის ცენტრია, სადაც მთელი ქვეყნიდან მოისწრაფვის იაფი პური. აშკარაა, რომ ინგლისში მხოლოდ საუკეთესოდ დამუშავებულს საუკეთესო მიწას შეუძლიან გაუწიოს კონკურენცია ამნაირ პურს. სულ სხვაა საფრანგეთში, რომელიც დაცულია პროტექციის შემწეობით და სადაც მეურნეს შეუძლია დაამუშაოს ნაკლების ღირსების მიწაც და ნაკლების რაციონალურის საშუალებით. მაშასადამე, შემცდარია ლიბკნეხტი, რადგან ადარებს ერთმანეთს არა ერთნაირის ხარისხის მიწების მოსავალს. კიდეც რომ დავეთანხმოთ ლიბკნეხტის შედარებას, მაშინაც ფაქტები იმის წინააღმდეგ ღაღადებს: თუ შევადარებთ ერთმანეთს სხვა და სხვა ქვეყნებს პურის მოსავლის მხრივ, დავინახავთ, რომ პირველი ადგილი უჭირავს ინგლისს, მერე წვრილ კულტურის ტიპიურს ქვეყანას—ბელგიას, შემდეგ დანიას, ჰოლანდიას, შვეციას და ბოლოს საფრანგეთს. ინგლისის შემდეგ დასახელებულ ოთხ ქვეყანაში წვრილი მიწის-მფლობელობა უფროა გავრცელებული, ვიდრე საფრანგეთში. აშკარაა სიყალბე დოგმატიკოსების საბუთებისა და იმედებისა! რომ უფრო დაუახლოვდეს სინამდვილეს, ჰერცი სარგებლობს იმ სისტემით, რომელიც შემოღებულია საფრანგეთის აგრონომიულ სტატისტიკაში და რომლის შემწეობითაც საფრანგეთი დაყოფილია ბუნებრივ ოლქებად. ჰერცი ადარებს ერთმანეთს ერთისა და იმავე ოლქის სხვა და სხვა დეპარტამენტებს. ეს შედარება ასეთს შედეგს იძლევა: პურის წარმოებაში უპირატესობა ეკუთვნის მსხვილ მეურნეობას სამს ოლქში, ხოლო წვრილს—ორში; კარტოფილის წარმოებაში მსხვილს-ორში, ხოლო წვრილს—სამში; მევენახეობაში—სრული თანასწორობაა და საქონლის მოშენებაში სრული უპირატესობაა წვრილ მეურნეობის მხარეზე.

სხვა და სხვა ქვეყნის სასოფლო მეურნეობის განხილვიდან ჰერცი ამას დაასკვნის: „კაპიტალიზმი მიწათ-მოქმედებაში, წინააღმდეგ კაუცკის შეხედულობისა, სრულებით არ წარმოშობს სამეურნეო და პსიხოლოგიურ პირობებს უმაღლესს ფორმის განსავითარებლად“. ამიტომ „ჩვენი უმთავრესი მიზანი სასოფლო-მეურნეობაში, მის განსაკუთრებული თვისებების გამო, უნდა იყოს ის, რომ წვრილ მეურნეობათა ორგანიზაციით, ამხანაგობათა შემწეობით მოვაწყოთ მსხვილი წარმოება“. აგრარული კაპიტალიზმი ვერ ასრულებს თავის „მისიას“. სასოფლო მეურნეობაში ვხედავთ სხვა ცვლილებებს. თუ არ მივიღებთ მხედველობაში სამეურნეო განვითარების იმ ცვლილებას, რომელიც დამოკიდებულია პოლიტიკურ და ისტორიულ გავლენისაგან,—ამბობს ჰერცი:—და განვიხილავთ მეურნეობის თანამედროვე, ძველ ფეოდალურ ნაშთებისაგან გაწმენდილს, თავისუფალს ორგანიზაციას, შევამჩნევთ შემდეგს ბუნებრივ ცვლილებებს: „იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არის თავისუფალი, დაუმუშავებელი მიწა, ან სადაც ხალხი მეტად მჭიდროდ არ არის დასახლებული და, მაშასადამე, მიწის მოთხოვნილება ზომიერია,—ვხედავთ საშუალო მეურნეობის განვითარებას და წვრილისა და მსხვილის შემცირებას; ასეთია განვითარება ამერიკაში და გერმანიის უმრავლესს ნაწილში. ესევე ტენდენცია ეტყობა ინგლისსაც, სადაც მცხოვრებნი უფრო ამჯობინებენ, უსაზღვროდ განვითარებულ ინდუსტრიაში აიღონ სამუშაო, ვიდრე შეისყიდონ ან იჯარით დაიჭირავონ წვრილი მიწები.

იმ ქვეყნებში-კი, სადაც მცხოვრებნი მჭიდროდ არიან დასახლებულნი, ან ინდუსტრია საკმაოდ არაა განვითარებული ან სხვა ფაქტორის გამო უფრო სახეიროა მიწის ყიდვა, განსაკუთრებით საკუთარ სამუშაო ძალის მოსახმარებლად,—ვითარდება წვრილი მეურნეობა და ეცემა მსხვილი და საშუალო. ასეთია განვითარება ბელგიისა, ჩრდილო საფრანგეთის, ზემო იტალიის, სამხრეთ გერმანიის ზოგიერთ ნაწილისა“...

„თუ მცხოვრებთა რიცხვმა კიდევ იმატა და ინდუსტრია გაძლა სამუშაო ხელით, მიწის მოთხოვნილება ძლიერ იზრდება. სამხრეთ გერმანიის ცნობები გვეუბნება, რომ ამ ადგილებში უზომოდ ბევრი მცხოვრებია და მათ არ ჰყოფნით დასამუშავებელი მიწა; მიწის მოთხოვნილება საოცარია, ფასმა იმატა საშინლად ისე, რომ ვერავითარი რაციონალური სასოფლო-მეურნეობა ვერ მისცემს პატრონს იმის მესამედსაც, რასაც იძლევა წვრილი იჯარა... აშკარაა, რომ ამგვარად უკანასკნელი მიზანი კაპიტალისტურ მეურნეობისა არის არა მსხვილი წარმოება, არამედ წვრილი იჯარა“. ეს დასკვნა დაკავშირებულია მეორე აზრთან. „საკითხი მიწის მაღალ ფასების შესახებ—და საგლეხო საკითხიც ხომ ეს არის საზოგადოდ არის გადაბრუნებული ფორმა მეორე საკითხისა—საკითხისა სამუშაოს უქონლობის და იმის გავლენის შესახებ სამუშაო ქირის შემცირებაზედ“, სწერს ჰერცი: როგორც ინდუსტრიაში მუშათა სათადარიგო არმიის კონკურენციის შემწეობით, ისე აქ მიწის მესაკუთრეთა (ან მოიჯარადრეთა) პატარა კანდიდატების კონკურენციის შემწეობით შრომის სასყიდელი მიისწრაფვის ცხოვრების სალსარის მინიმუმისაკენ“. ამას უნდა დავუმატოთ ერთი შენიშვნაც კაუცკის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი ამბობს, რომ გლეხი „საკუთრების ფანატიზმით“ არის გამსჭვალულიო. ჰერცი უპასუხებს: გლეხში თუ ფანატიზმია, ეს უფრო „სამუშაოს ფანატიზმი“ არისო. ჰერცი ეთანხმება აგრეთვე ერთ რუსის მწერალს, რომ გლეხის მისწრაფება მიწისაკენ არის დამოუკიდებელი მუშის სიყვარული თავისებურ მუშაობისადმი, რომელსაც შეეჩვია, რომელიც ეთვისება იმის ბუნებას, სულსა და გულსაო.

(შემდეგი იქნება)

საც თუ ერთი პალატა იქმნა, მონარქი იძულებული იქნება თითონ შეასრულოს ზემო პალატის როლი და უფრო ხშირად დაადოს ხოლმე ვეტო მოწონებულ კანონ-პროექტს.

როგორც ჰხედავთ, „კავკაზს“ მშვენივრად ესმის ზემო პალატის მნიშვნელობა. ზემო პალატა იქნება სახელმწიფოებრივი ფილტრი, რომელმაც კანონმდებლობა დემოკრატიულ ტენდენციებისაგან უნდა სწმინდოს და ასე გაწმენდილი წარუდგინოს ხოლმე მონარქს. შეიძლება იკითხოთ, რატომ კმაყოფილდება „კავკაზი“ ამ ერთის ფილტრით და კიდევ მესამე და მეოთხე პალატას არ თხოულობს, მაშინ ხომ უფრო გაწმენდილი იქნება კანონ-პროექტი, უფრო „ბრძნული და გონიერი“ ხასიათი ექნება მას, მაშინ ხომ უფრო ნაკლებ მოუხდება მონარქს ვეტოს უფლებით ისარგებლოს ხოლმე?—რატომ და— სულ უბრალო მიზეზით; „კავკაზმა“ იცის, რომ ბიუროკრატებისა და თავად-აზნაურ [illegible] შემდგარი სახელმწიფო საბჭო ისე „გასწმენდს“ ყოველს კანონ-პროექტს, ისე გამოაცლის დემოკრატიულ სულს, რომ მესამე და მეოთხე პალატას გაწმენდა სულაც აღარ დასჭირდება.

წერილები

კახეთი. ამ ერთი წლის წინად ღამე ისე არ გავიდოდა, რომ საქონლის ქურდობა არ მომხდარიყო და რამდენიმე საბძელ-სათივე არ გადაეწვათ კახეთში. ქურდობა და ტაციობა გადამდებ სენად გადაიქცა. მცხოვრებთ ჯერ გადასახლების ზომას მიჰმართეს და რადგან ამან ვერაფერი ნაყოფი მოიტანა, იწყეს ბოროტ-მოქმედთა აღმოჩენა და გასამართლება ლინჩის კანონით. ამ საშუალებამ, ცოტა არ იყოს, იმოქმედა. ქურდობა თითქმის მოისპო, გადაწვაც აღარ ხდებოდა და კახეთი მშვიდობიან ცხოვრებას მიეცა. რასაკვირველია, ადმინისტრაციამ აუკრძალა მცხოვრებთ თვით განსამართლება და ლინჩის კანონის შემოღება.

დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ქურდობამ კვლავ ფეხი აიდგა, თუმცა წინანდებურად ვერა, მაგრამ ზედ გაძარცვა დაერთო. გაძარცვა უფრო ხელსაყრელად მიაჩნდათ: ნაღდი ფულის და ვერცხლეულობის დამალვა უფრო ადვილია, ვიდრე საქონლისა. ზაფხულიდან დაიწყო დრო გამოშვებით მგზავრთა გაძარცვა ალაზნის ნაპირებზე—ქალაში. შემოდგომაზე გაჩნდა ყაჩაღთა ბრბო ცნობილ ბეგაიას მეთაურობით. არც ერთ მგზავრს არ უშვებდა და დილიჟნებსაც ხშირად სძარცვამდა, მოკლა რამდენიმე კაცი და დარაჯთა ურიადნიკი. ბოლოს ბეგაია სტრაჟნიკებმა მოჰკლეს, ერთი თუ ორი მისი ამხანაგიც, ზოგი დაიჭირეს და ზოგმა თავს უშველა. მას შემდეგ ასეთი შეიარაღებული გაძარცვა აღარ მომხდარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში წვრილ ქურდობას, გზაში დახვედრას, ცხენების რიმევას, თოფის სროლას და სხვა, მაგრამ ეს არაფერია იმ ამბავთან, რომელიც მოხდა 24 თებერვალს ალაზნის ხიდის მახლობლად.

ამ დღეს შაქრიანს და ენისლის შუა ქალაში, ეგრედ წოდებულ ლოქიანში, ათ შეიარაღებულ ყაჩაღთა ბრბოს დაუყენებია ყველა გამვლელ-გამომვლელი, დაუწყვია დაწვრილებითი ჩხრეკა და ვისაც კი რაიმე საფასური ჰქონია, წაურთმევია. დაუყენებიათ შილდიდან და ყვარლიდან მომავალი დილიჟნები, მგზავრთათვის გაუხდევინებიათ ტანისამოსი და წაურთმევიათ ნაოჰოვისთვის 450 მანეთი, თოჰაზისთვის 100 მან., დემურჯოვისთვის 60 მან. ზოცისთვის 50 მ., ზოგისთვის 10 მ., 5 მ., ვერცხლის ქამრები, ხანჯლები. საათები და სხვა, მხოლოდ გაძარცული ხალხი დაუტყვევებიათ და არსაით უშვებდნენ თურმე. თელავიდან მიმავალი დილიჟანიც ამ დროს მისულა. მგზავრთა შორის ერთი სტრაჟნიკიც ყოფილა. დილიჟანს წინადაჩ ჩასაფრებიან და რა დაუნახავთ სტრაჟნიკი, რომელსაც მაშინვე უსროლია, დაუწყვიათ გაცხარებული სროლა. ტყვიები საფანტივით ჰხვდებოდა თურმე მგზავრებს. ორი იქვე მოეკლათ, ერთი შილდელი გლეხი-კაცი და მეორე გორიდან მომავალი თუში. სტრაჟნიკს მარტო ერთი ტყვიის გასროლა მოესწრო და დაეჭრა კიდეც ერთი თავდამსხმელთაგანი, რომელიც ამხანაგებს ქალაში შეეთრიათ, მერე თვით მოჰხვედროდა ტყვია და იქვე უსულოდ დაცემულიყო. ამნაირად ამ დილიჟნის მგზავრებთაგან სამი მოჰკლეს, ხოლო დანარჩენი 5 კაცი რაღაც განგებით გადარჩნენ, ტანისამოსი სულ დახვრეტილი აქვთ ტყვიით. ბოროტ-მოქმედთ ჩამოუთრევიათ მკვდრები ძირს და დაუწყვიათ, როგორც ამათი, ისე გადარჩენილთა ძარცვა. ამათთვისაც გაუხდევინებიათ ტანისამოსი და ფეხსაცმელი. ფული და ნივთების გარდა წაუღიათ ზოგიერთების ტანისამოსი. სტრაჟნიკის გვამი აუჩხიათ, ბეგაიას სისხლი უნდა ავიღოთო. ეს სტრაჟნიკი სამსახურიდან გამოსულა, გაუყიდნია ცხენი და ცოლ-შვილის წამოსაყვანად მიდიოდა თურმე, რომ სამშობლოში რუსეთს დაბრუნებულიყო. ამისთვისაც აეცალათ 200 მანეთამდე და ბერდანა. სტრაჟნიკი წვრილ-შვილი ყოფილა.

გაძარცვა ნაშუადღევის 2 საათამდე გაგრძელებულა. იმდენი ხალხი დაუყენებიათ, რომ კაცს დღეობა ეგონებოდა, ასე 100 მგზავრი იქნებოდაო. გაუძარცვავთ ყველა, სულ ფულად და ნივთეულად წაღებულს 2,000 მანეთამდე ანგარიშობენ მგზავრები.

ყაჩაღი ყოფილა ათი ლევ უსუფას მეთაურობით, რომელიც აფიცრის პაგონებში იყო და გაძარცვას ხელმძღვანელობდა. დანარჩენები ზოგი ქართველი, ზოგი ლეკი ყოფილა. რამდენიმეს ჩაფრების პაგონები ეკერა. ერთს მუნდირიცა სცმია. ამათში, უსუფას გარდა, ორი უცვნიათ, ლეკი ალია და ილმატელი ტაო.

ვიდრე გაძარცვას არ გაათავებდნენ, არც ერთი მგზავრი არ გაუშვით თურმე, ალბად სოფლელთ არ შეატყობინონო; თუმცა მაშინათვე რომ გაენთავისუფლებინათ კიდეც, არაფერი იქნებოდა. ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებთ თუნდა სცოდნოდათ, ვერ მიეშველებოდნენ, რადგან ამათ იარაღი არ მოეპოვებათ, ბოროტ-მოქმედნი-კი კარგად ყოფილან შეიარაღებულნი, და ღელავში ასვლას კიდევ მალე ვერ მოახერხებდნენ მგზავრები.

ამბობენ, ყაზახებს გაჰგზავნიან მათ შესაპყრობლადაო, მაგრამ ესენი და სტრაჟნიკები მგონი ვერას გახდებიან. ამათ არც ადგილ-მდებარეობა იციან და არც ქალის და მთის ბილიკები, როგორც კახელმა ხალხმა, ამ უკანასკნელთ—კიდევ მოგეხსენებათ იარაღი არა აქვთ და კომლით-კი ბერდანიან ყაჩაღის დაჭერა შეუძლებელია, რაც გინდა კარგად იცოდეს მთა-ღრის გადასავლელი ბილიკები.

ამისათვის, ვიდრე თვით მკვიდრი მცხოვრებნი არ შეიარაღდებიან კარგად (თითო სოფელს თუნდა 10-15 ბერდანა ეყოთა) და თვით არ იდებენ თავს, ან არ შეეშველებიან ბოროტ-მოქმედთა აღმოფხვრაში, მანამ ყოველივე ცდა ვგონებ ამაოდ იქნება, მით უმეტეს, ეხლა, როცა ქალა და მთა ფოთლით დაიბერება.

დევი

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

24 თებერვალი

პარიჟი. პრეზიდენტმა ფალიერმა სარიენს მიანდო შეადგინოს კაბინეტი.

სმოლენსკი. სინოდის განკარგულებით დაიხურა სემინარია. ინცინდენტის გამოძიებას მოელიან.

მინსკი, 24 თებერვალი. გუშინ საშინლად გადიდდა წყალი. ათ ქუჩაზე მეტი წყალმა მოიცვა. წყალი ორ საჟენის სიღრმეზეა. გაავსო წყლით სარდაფები და ქვედა სართულები.

ვილნო. ოთხ ებრაელს, რომელთაც ადლშვანგის მადაზიაზე დაცემა ედებოდა ბრალად, ჯარის უფროსმა სიკვდილით დასჯა კატორღაზე შეუცვალა.

მინსკი. ჯარის უფროსმა დაამტკიცა განაჩენი სამხედრო სასამართლოსი, რომლის ძალით ივანე პულიხოვს ჩამოხრჩობა აქვს გადაწყვეტილი გუბერნატორის მოკვლის განზრახვისთვის.

სედლეცი. ჩეხის ქარხანაში, რომელიც ამ ჟამად დაკეტილია, სამასამდე მუშამ სცემა უფროს მოსამსახურეს. დაიჭირეს ხუთამდე მუშა.

ფსკოვი. ქალაქის კასაში, სადაც ქალაქის მარკები ისყიდება, შეცვივდნენ მძარცველები, დააწიოკეს იქაურობა და წაიღეს რამდენიმე ათი მანეთი. როცა პოლიცია მოვიდა, კასის გამგე ქალი გულწასული დაუხვდა.

ყაზანი. იუსტიციის მინისტრის ბრძანებით შინაურულად დაატუსაღეს მომრიგებელი მოსამართლე და საგუბერნიო ერობის ხმოსანი კუპრიანოვი.

მიტავა. რადგანაც დაჩქარებით უნდა იქმნას განხილული აჯანყების საქმეები და რიგის სამხედრო სასამართლო-კი ვერ აუვა ყველაფერს, ამიტომ გენ.-ლეიტენანტმა ბეკმანმა დაარსა კურლიანდიის გუბერნიაში ხუთ ადგილას დროებითი სამხედრო სასამართლოები უმაღლეს აფიცრებისაგან.

ტვერი. გაჩხრიკეს იუნკერთა სასწავლებელი, დაატუსაღეს 4 იუნკერი.

პეტერბურგი. „სევერნი გაზეტა“-ს სიტყვით იაროსლავის ტილოს მსხვილ ფაბრიკის წარმომადგენელმა იაზონის საინტენდანტოდან შეკვეთა მიიღო 20,000 ნაჭერ ტილოზე.

პეტერბურგი. სინოდმა დაადგინა, 5 მარტისთვის გამოიწვიოს პეტერბურგს საგანგებო საკრებულოს წევრები მომავალ საეკლესიო კრებაზე შესატან საკითხების მოსამზადებლად და დასამუშავებლად.

უფა. ბუშუევს, რომელსაც სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა უფის ვიცე-გუბერნატორ კელეპოვსკის სიკვდილის განზრახვისათვის, კატორღაზე შეუცვალეს სასჯელი.

ჩერნიგოვი. სამოსამართლო პალატამ ჩერნიგოვისა და ნეჟინის პოლიცმეისტრის მოკვლის განზრახვის საქმე გაარჩია. პირველს დამნაშავეს 4 წლის კატორღა გადაუწყვიტეს, მეორეს 5 წლით და 4 თვის ციხე.

ვენა. დეპუტატთა პალატაში ადლერმა განაცხადა სოც.-დემოკრატები ეგებებიან საყოველთაო საარჩევნო უფლების პროექტს, მიუხედავად იმისა, რომ შიგ ბევრი ნაკლულოვანებაა. ამ პროექტით პროლეტარიატს საშუალება ეძლევა ერთი ფეხი გადადგას წინ უფლებებისა და ნამდვილ სახალხო წარმომადგენლობის დაარსებაში. სოც.-დემოკრატები წინააღმდეგობას გაუწევენ კანონს მუდმივ ერთს ადგილას ცხოვრებისა და ფარულ ხმის მიცემის შესახებ. შტერნბერგი ამბობს, საარჩევნო უფლება სოც.-დემოკრატებისა „მაღალი ჩეხთა“ პარტიის სასარგებლოთაა შემოღებული და ჰკიცხავს მთავრობას.

პეტერბურგი. სადგილ-მამულო საკითხების გადასაწყვეტად კომისიების დაარსების საკითხი მინისტრთა საბჭოში უკვე გადაწყდა და წარედგინება ჩქარა მომავალში ხელმწიფეს. საბჭოს წარედგინა აგრეთვე მოხსენება იმის შესახებ, რომ ებრაელები ძლიერ არიან შეშინებულნი, რადგანაც მათ წინააღმდეგ მიღებულმა ძალმომრეობამ ფართო ხასიათი მიიღო. ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა სთქვა, საშიში მაინცა და მაინც არაფერია, რადგანაც მთავრობას ყოველი ღონისძიება აქვს მიღებულიო.

პარიჟი. ბურჟუამ და პუანკარემ პრინციპიალური თანხმობა განაცხადეს სარიენის კაბინეტში შესვლაზე. თუ სარიენმა შეადგინა კაბინეტი, მაშინ რუვიეს კაბინეტს აჯობებს ახალი კაბინეტი თვისი რადიკალობით. პარლამენტის ის ჯგუფები, რომელთაც სამინისტროს ახალი კანდიდატები ეკუთვნიან, ითხოვენ, ჩქარა იქმნას გაუვანილი კანონი ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფისა. ზოგიერთებს-კი ეშინიანთ, საფრანგეთს არეულობა და მღელვარება მოედება ამ კანონის განხორციელებითო.

ბერლინი. გარდაიცვალა რეიხსტაგის ცნობილი დეპუტატი რიხტერი.

ბაქო. „ბაკინსკაია გაზეტა“ ხელახლა იქნა ნებადართული.

პეტერბურგი. გაზეთ „რეჩ“-ში დასტამბული იყო სტატია, კონ. დემოკრატების დევნა პრემიერ-მინისტრის საქმეაო. „რუს. გოსუდარსტვო“ იუწყება, რომ ვიტტეს არავისთვის არ მიუნდვია ხსენებულ პარტიის წინააღმდეგ ზომების მიღება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ გრაფს არა ერთხელ უთქვამს, ვისთვისაც ჯერ იყო, არავითარი დაბრკოლება არ მიეცეს [illegible] მქონე პარტიებს და არავითარი დევნა არ ადიძრას მათ წინააღმდეგ, სანამ იგინი კანონიერების ფარგალს არ გადასცდებიანო.

ვარშავა. მიდლარსკი ქუჩაზე ხანჯლით მოჰკლეს ყოფილი გოროდოვოი ბაიალოლენსკი. მკვლელი მიიმალა. ოგროდოვა ქუჩაზე თავს დაესხა მეფურნე დუკაშეს შეიარაღებულთა ჯგუფი და დასჭრა იგი რევოლვერით. ორი დამსხმელთაგანი დაიჭირეს. კლემბერგის კოლოთის სახელოსნოში შეიჭრა 4 კაცი რევოლვერით, წაიღეს 400 მანეთი და მიიმალნენ. სამხედრო-საოლქო სასამართლომ ვიტკოვსკისა და იანკოვიჩს კატორღა გადაუწყვიტა—პირველს $7^{1}/_{2}$ წლით, მეორეს 15 წლით.

მინსკი. წყალმა იკლო. ზარალი აუარებელია. ქალაქში არა არც წყალი, არც სინათლე.

პოლტავა სადგურ მიროვკაზე მატარებლები დაეჯახა ერთმანეთს. მოკლულია მატარებლის მხლებელი და კონდუქტორი, დაჭრილია ორი მგზავრი

ვარშავა. ქალაქ გარეთ, პრაგაში აფეთქება მოხდა ბელოსტოკის ქუჩაზე იფეთქა ვილცის მიერ დადებულმა ყუმბარამ.

ლანსი. მადაროებში აფეთქება მოხდა. ფიქრობენ, რომ დიდძალი ხალხი დაიღუპა. მადაროები ვეებერთელა კოცონს წარმოადგენს. დილით სამუშაოდ 1800 კაცი ჩასულა შიგ. ფიქრობენ, მეტმა წილმა გვერდის გალერეებში შეაფარა ალბად თავიო.

თელავი. ქალაქიდან 12 ვერსის მანძილზე, ყვარლის გზატკეცილზე გაძარცვეს და მოჰკლეს სპოლიციო დარაჯი და ორი მგზავრი. მცხოვრებლები შეძრწუნებულნი არიან.

რიგა. უსტ-დვინსკის ციხეში ჩამოახრჩეს იან ბორზინი, რომელსაც კაზაკ სტრაჟნიკის მოკვლა და კაზაკ ლოსევის დაჭრა ედებოდა ბრალად.

ბელოსტოკი. ვარშავის სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა ერშოვიჩს 15 წლის კატორღა და საპერშტეინს ათი წლისა ბელოსტოკის მაზრის დაბა ჰესინიმში ფაბრიკანტ ამბურგკიზე თავდასხმისათვის.

ლაგირი. ბატარში მიწის ძვრა მოხდა. რამპურში მოკვდა 2, დაიჭრა 24, დაინგრა სასამართლოს, ფოსტის და პოლიციის შენობები. კაკულას რამპურის ახლოს მოკლულია 6, დაჭრილი 2.

პეტერბურგი. 20 თებერვლის დეპეშის დასამატებლად ვაუწყებთ, რომ ნამესტნიკის კანცელარიაში ახალ დანიშნულ მოხელეებს ჯამაგირი არ მიეცემათ.

26 თებერვალი

პეტერბურგი. დამშეულ გუბერნიების სასარგებლოდ გაიცა საზოგადო-საიმპერიო საკვების კაპიტალიდან 25 თებერვლამდე 61,172,551 მან.—24 თებერვალს დაიჭირეს ნიკოლაევსკის რკ. გზის 9 მოსამსახურე, დაიჭირეს აგრეთვე აწ უკვე აკრძალულ გაზეთ „სინ ოტეჩესტვა“-ს ყოფილი თანამშრომელი, რომელზედაც ეჭვი აქვთ, როგორც ასაფეთქებელ მასალათა მაკეთებელზე.—ძლიერ გახდა ავად პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი. გზათა სამინისტრომ მიანდო სახელმწიფოს და კერძო გზებს კომისიებს შეიმუშაონ საკითხი არეულობის დროს გზებიდან გამოკლებულ მოსამსახურეების უკან მიღებისა. იმავე სამინისტრომ წარუდგინა მინისტრთა საბჭოს წესები გზების მოსამსახურეებისა, მათის დისციპლინისა, სამსახურისა და დასვენების შესახებ. განზრახულია დროგამოშვებით მომატება ჯამაგირისა, ერთდროული ჯილდო 20 წ. სამსახურისათვის, ქეტონების დარიგება და სხვა. მოსამსახურეების დასჯა შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, როცა სადისციპლინო კრებული, რომელშიაც მოსამსახურეთა წარმომადგენელნიც იქნებიან, გამოიძიებს საქმეს. სამუშაო დრო ძლიერაა შემცირებული არსებულთან შედარებით.

ტვერი. ოფიციალური. იუნკერთა სასწავლებელში არავითარი ჩხრეკა არ მომხდარა.

პარიჟი. სარიენს დაეთანხმა კაბინეტში შესვლაზე სოციალისტი ბრიანი, რადიკალები ბურჟუა და რიო, პროგრესისტები პუანკარე და ლეიგი.

მინსკი. ღამით ციხეში ჩამოახრჩეს გუბერნატორის მოკვლის განმზრახველი პულიხოვი.

ვარშავა. პრაგაში მოჰკლეს უბნის ზედამხედველი ცაპსანი და გოროდოვოი ვოლკოვი, რომელნიც ხალხის დასაჭერად იყვნენ გაგზავნილი. ერთმა მკვლელმა თავს უშველა, მეორე მოჰკლეს.

პეტროკოვი. ლასკის მაზრის უფროსი ივანოვი მოჰკლეს ვარშავა-კალიშის გზის ნაზინიცის სადგურის ახლოს.

კავკასი. აპშერონსკის პოლკის 4 სალდათს სამხედრო-საოლქო სასამართლომ გადაუწყვიტა 12—12 წლით კატორღაში გაგზავნა, 10-ს—დისციპლინარულ ბატალიონი. ამათ ბრალდებოდათ 1905 წ. ოქტომბერში არეულობის მოხდენა.

ხარკოვი. მუშებში ხმა გავრცელდა, მთავრობა დაიჭერს არჩეულ მუშებსო. ამ ხმას არჩევნებისთვის ხელის შესაშლელად ავრცელებენ. გუბერნატორი აცხადებს, ამომრჩეველთა პიროვნება ხელშეუხებელიაო.

რომი. დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად აირჩიეს ბიანკერი.

ბერნი. მოკავშირეთა საბჭომ წინადადება მისცა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ჟენევის კონვენციაზე უწერიათ ხელი, 20 მაისისთვის გაჰგზავნონ კონფერენციაზე დელეგატები კონვენციის გადასახედავად.

ალჟესირასი. სახელმწიფო ბანკისა და პოლიციის შესახებ საკითხები სარედაქციო კომისიას ჩაჰბარდა საბოლოო გადაჭრისთვის. დიდი იმედი აქვთ შეთანხმებისა.

სევასტოპოლი. კონ.-დემოკრატებს უარი უთხრეს საარჩევნო კრების გამართვაზე.

ჩიტა. სასამართლოში არ შეუშვეს ოკუნცოვისა, შაქსმანისა და მირსკის დამცველები. საქმის გარჩევას ღამით დაასრულებენ.

მინსკი. სამხედრო-საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე სადისციპლინო ბატალიონისა, რომელსაც აჯანყება ედებოდა ბრალად. 28 სალდათიდან 13 დახვრეტა გადაუწყვიტეს, დანარჩენებს კატორღა სხვა და სხვა ვადით.

პეტერბურგი. გრადონაჩალნიკის განკარგულებით აიკრძალა 26 თებერვლისთვის დანიშნული კრება თავისუფალ მოაზრეებისა.

მოსკოვი. [illegible] შემდეგ დაწესებულებების მომუშავეებმა სთქვეს უარი არჩევნებში მონაწილეობაზე: თითქმის ყველა სტამბების მუშებმა, ქალაქის გაზის ქარხნისა და ყველა სახელოსნოებისამ, ტრამვაისა, ცინდელის ქარხნისა, გრომლეისა და შაქრისა. პროხოროვის მანუფაქტურამ გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა. ხვალიდან მუდმივი პოლიციის ყარაული იქნება დაყენებული სახელმწიფო საზინასთან.

ბერლინი. „კელნიშე ცაიტუნგი“ ამბობს, იმპერატორი იმიტომაა მოსურნე შეთანხმებისა მაროკოს საკითხში, რომ იმ თავითვე ამ აზრის იყოო.

ზუბცოვი. წვრილ მესაკუთრეთა კრებაზე აირჩიეს რწმუნებულებად 10 მღვდელი და ორი გლეხი.

მიშკინი. რწმუნებულებად აირჩიეს გლეხებმა უმეტესად ყოფილი მამასახლისები და სტაროსტები.

ლანსი. პარიზის სინდიკატის პრეზიდენტმა 5,000 ფრანკი გაუგზავნა მადაროებში ამომწვარ მუშების პირველ დახმარებისთვის.

რიგა. პოლიციამ დაატუსაღა ადგილობრივ სარევოლუციო კომიტეტის ერთი უმთავრესი მოქმედთაგანი. მას უნახეს ბინაზე საიდუმლო სტამბა, რამდენიმე ათასი პროკლამაცია და ბროშურა და შავად დაწერილი რევოლუციონური მოწოდება.

კიევი. კიევიდან არხანგელსკის გუბერნიაში 12 პოლიტიკური ტუსაღი გაიგზავნა.

კნიაგინინი. სოფ. მედვედკოვოს გლეხებმა თავიანთ ნებაზე მიითვისეს ტყე. გამოწვეულმა ცხენოსანმა პოლიციამ აღადგინა წესიერება.

ვალკი. გლეხებმა აირჩიეს რწმუნებულებად დამოუკიდებელი, [illegible] მესაკუთრენი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 თებერვალი

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, დასრულდა მუშაობა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შეედგინა პროექტი შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღებისა, იგი წარედგინება ფინანსთა მინისტრს განსახილველად.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში დასრულდა პეტერბურგის რაიონში მუშების არჩევნების სამზადისი. მუშების საერთო რიცხვი, არჩევნების უფლების მქონე 16797-ა. პირველი კრება სათათბიროს წევრთა არჩევის შესახებ 15 მარტს მოხდება. ამ დღეს ნანიშნულია პეტერბურგის მაზრის ქალაქების არჩევნები. კრება გაიმართება ქალაქის საბჭოში მოურავის თავმჯდომარეობით. კრებამ ორი დეპუტატის ამომრჩეველი უნდა აირჩიოს.

„სლოვო“ იუწყება, 23 თებერვალს ფინანსთა მინისტრის ბინაზე კერძო თათბირი ჰქონდათ შინაგან სესხის შესახებ. თათბირს უბრალო ბაასის ხასიათი ჰქონდა. დაესწრნენ ოთხი ბანკის—საერთაშორისო, ვოლგა-კამისა, საუჩეტოსა და რუსის წარმომადგენლნი; გამოირკვა, რომ შესაძლებელია შინაგანი სესხის გამოცემა, არა უმეტეს 200 მილიონისა, თუ ფინანსთა სამინისტრო ერთბაშად არ მოითხოვს მთელს ჯამს, რუსეთის ბანკები, რასაკვირველია, იკისრებენ სახელმწიფოს ახალ ვალდებულების განაღდებას, მაგრამ იმ პირობით, რომ ამათ არა ჰქონდეთ მომგებიან სესხის ხასიათი, არამედ შემოჰქონდეთ განსაზღვრული შემოსავალი 5% მაგალითად.

ადესა. ქალაქში გახშირდა გოროდოვოებზე თავდასხმა.—რადგან ძლიერ სასტიკად იქნება დასჯილი, ვისაც ასაფეთქებელ მასალას უპოვნიან, ამიტომ რევოლიუციონერებს ქუჩებში გამოაქვთ ამისთანა ნივთიერებანი. უკანასკნელ დროს რამდენიმე ბომბა იპოვნეს ქუჩაზე.

ტოკიო. მართალია ბიდდიხანის ავადმყოფობა.—პრინც ჩინის მოლაპარაკება აქვს ამერიკის ელჩთან ფილიპინის კუნძულებზე ამერიკის ჯარის გაძლიერების შესახებ.—ჩინეთის მთავრობა უარს ამბობს ასანაზღაუროს ნანჩაში ევროპიელებისათვის მიყენებული ზარალი საქმის გამოკვლევამდე.

ჰელსინგფორსი. სადგურ ხიუვინგზოზე დაიჭირეს ორი ახალგაზდა კაცი, რომელთაც 5,474 მან. და 56 მარკა უნახეს. ფიქრობენ რომ ესენი ბანკის გაძარცვაში იღებდნენ მონაწილეობას.

ორელი. გუბერნატორმა აუკრძალა ადგილობრივ კომიტეტს კონ.-დემოკრატებისას მოწოდების დასტამბვა.

ბელოსტოკი. ნესვიჟის ცეიხჰაუზიდან მოიპარეს, გაზეთების სიტყვით, 200 ვინტოვკა, 20 ყუთი პატრონი და 16 ყუთი გილზი.

მოსკოვი. საგუბერნიო ერობის კრებაზე გამგეობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გამგეობამ ხელი აიღო მინდობილებათა ასრულებაზე, გარდა ბარონ ჩერკასოვისა. კრებამ მოისმინა მოხსენება და მიროვ საქმეებს შეუდგა.

რიაზანი. პალატამ დაასრულა 69 გლეხკაცის საქმის გარჩევა. ამათ ვაჭრებ პიპოვების ხუტორის აწიოკება ედებოდათ ბრალად. დანაშაულის მიზეზი იყო მეტის-მეტი შიმშილი და გუბერნიის საკრებულოს უარის თქმა პურის მიცემაზე. 26 კაცი გაამართლეს, 43 მიუსაჯეს ციხესა და გამასწორებელ განყოფილებაში ჩამწყვდევა 2—8 თვემდე.

პარიზი. პა-დე-კალეს მადაროებში ცეცხლი გაჩნდა. ფიქრობენ, ათასამდე მუშა იმსხვერპლა ცეცხლმაო.

26 თებერვალი

პეტერბურგი. „საზალდო“-სა და „ნაშ გოლოს“-ის რედაქტორ ჰერცენშტეინს სამოსამართლო პალატამ მიუსაჯა 1 წლის ციხე და აუკრძალა რედაქტორობა 5 წლის განმავლობაში. ჰერცენშტეინი საკასაციო საჩივარს იძლევა. „სლოვო“ იუწყება, 25 თებერვალს დააპატიმრეს გაპონიო.

ვარშავა. საღამოს 10 საათზე ფაბრიკა „ლიაბორ“-ის მუშებმა მიმავალ პატრულს ესროლეს. პატრულმა უპასუხა და მოჰკლა 2 მუშა, 2-ც დასჭრა.

სტამბოლი. საფინანსო კომისიას თანდათან უჭირს საქმე. ამას წინად პორტამ უარი უთხრა კომისიის წევრებს ჯამაგირის მიღებაზე, არ მისცა ჯამაგირი აგრეთვე უცხოეთის აფიცრებს მაკედონიაში. თავს იმითი იმართლებს, რომ ელოდება სადამოჟნო დამატებით გადასახადის შემოღების საკითხის გადაწყვეტას.

პარიზი. ფიქრობენ, რომ [illegible] კაბინეტი შესდგება. მინისტრ-პრეზიდენტი სარიენი მიიღებს შინაგან საქმეთა პორტფელს, ბურჟუა—გარეშე საქმეებისას.—მადაროებში დაღუპულთა რიცხვი კურიერში 1219 კაცია.

ლონდონი. პეშავერიდან მოსულ ცნობებით ავგანის ჯარში ამას წინად აჯანყება მომხდარა. დაიჭირეს აჯანყების ხელმძღვანელი, ჯარის უფროსი და მეამბოხეთა თვალწინ ჩამოახრჩეს. ამ ჟამად აჯანყება ჩაქრობილია უკვე.

ვლადივოსტოკი. გასულ კვირას ადმინისტრატიულის წესით გაჰგზავნეს სამასამდე კაცი. გაჰგზავნეს აგრეთვე 149 ებრაელი მათთვის საცხოვრებლად დანიშნულ ადგილებში,—ღამით რეიდზე დაიწვა იაპონიის გემი.

კრემენჩუგი. ადგილობრივი სიონისტები აპირებენ 500 ებრაელის ოჯახს მისცენ საშუალება პალესტინაში გადასახლებისა.

ტომსკი. ესროლეს პოლიცმეისტერის თანაშემწე კირილოვს. მსროლელი დაიჭირეს და სამხედრო სასამართლოს გადასცემენ. იგი სტუდენტი აღმოჩნდა.

ვარშავა. გუშინ საღამოს ქალაქში პატრული გაძლიერეს. გამვლელ-გამომვლელთ სჩხრეკდნენ. იჭერდნენ ვისაც პასპორტი არა ჰქონდა. სადამოჟნო უბნის მცველებთ დაიჭირეს ორი ქალი, საზღვარ გარეთიდან შემოსული. იმათ უპოვნეს ტანისამოსში ჩაკერებული 3534 პატრონი ბრაუნინგისა.

მოსკოვი. ერობის უმცირესობა ცდილობს მოაგვაროს კონფლიქტი და დააჯეროს გამგეობა ნუ გავა სამსახურიდან. პარტიათა შორის ძლიერ გამწვავებულია დამოკიდებულობა.

ადესა. ვოკზალზე ჟანდარმებმა გახსნეს ორი საეჭვო კალათი, რომლებშიაც აღმოჩნდა 19 თოფი, 20 ხმალი და 20 გილზი. საქმეთა ფაკულტეტზე გამოცდები 10 მარტამდისაა დანიშნული.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

სესხი გლეხებს

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგლეხო ბანკის დახმარებით გლეხებს შეუძლიათ ადგილ-მამულის შეძენა. ვკისრულობ ყველა საქმეს, რომელიც დასჭირდება სესხის გამოტანას, ადგილ-მამულის შეძენას სოფლის საზოგადოებისათვის, გლეხთა ამხანაგობისათვის, ცალკე სოფლებისათვის; ვაფასებ ტყეებს, ვადგენ გეგმებს, მამულების აღწერას,—ყველაფერს, რაც საჭიროა მამულის ყიდვა-გაყიდვისათვის და დაგირავებისათვის.

იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ჰსურთ მამულების გაყიდვა და აგრეთვე იმ გლეხთა საზოგადოებათ და სოფლებს, რომელთაც ჰსურთ მამულების ყიდვა ჩემის შუამავლობით, ვთხოვ მომმართონ მე **ტფილისში**, ფრეილინის ქუჩა, სახლი № 3, ტელეფონი № 567, ა. გ. ხნეკოვს. (30—7)

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. ენქის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.